საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი

სოციალური მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი
სპეციალობა - ჟურნალისტიკა

ხათუნა ბოლქვაძე

სოციალური საკითხების გაშუქება თანამედროვე ქართულ მედიაში

ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი

ხელმძღვანელი: იოსებ სანიკიძე, პროფესორი

ხიჭაური, 2019

შინაარსი:

1. შესავალი ----------4

2. თავი 1

სოციალური საკითხების გაშუქება ბეჭდურ მედიაში----------8

ა) სოციალური საკითხები გაზეთ ,,აჭარაში“----------10

ბ) სოციალური საკითხები გაზეთ ,,კვირის პალიტრაში“----------19

თავი 2

სოციალური საკითხები სამაუწყებლო მედიაში----------33

ა) სოციალური საკითხები აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე ---------- 33

ბ) სოციალური საკითხები ტელეკომპანია ,,იმედზე“----------43

თავი 3

სოციალური პრობლემატიკა რეგიონის მაგალითზე ე.წ ,,ოცნების ქალაქიდან“ ----47

4. დასკვნა----------53

5. გამოყენებული ლიტერატურა ---------- 55

ანოტაცია

საკვლევი თემა თანამედროვე ქართულ მედიაში სოციალური საკითხების წარმოჩენას ეხება. მასში გაანალიზებულია, როგორც ბეჭდური ასევე, სატელევიზიო სიუჟეტები, რომელიც კონკრეტულ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა საკითხები და რა სიხშირით ინტერესდებიან ჟურნალისტები როდესაც სოციალურ საკითხებს აშუქებენ. სამაგისტრი ნაშრომი შდგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. შესავალ ნაწილში საუბარია სოციალური საკითხების ზოგად არსზე, იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხების მოგვარება კონკრეტული ადამიანისთვის და ზოგადად საზოგადოებისათვის. სამაგისტრო ნაშრომის პირველწლ თავში განვიხილავთ, ჩვენი რეგიონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბეჭდურ გამოცემას გაზეთ ,,აჭარაში“ გამოქვეყნებულ სოციალურ საკითხებს, ამავე თავში ვაანალიზებთ გაზეთ ,,კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილ სოციალურ საკითხებს. ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილი გვაქვს, თანამედროვე სამაუწყებლო მედიის მიერ მომზადებული სიუჟეტები, სოციალურ საკითხებზე აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ტელეკომპანიუა ,,იმედის“ მაგალითზე. ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება მეტად საინტერესოდა შეიძლება ითქვას, არაორდინალურ რეალობას ე.წ ,,ოცნების ქალაქს“. ამ თავში შევეცადეთ, ანალიზი გაგვეკეთებინა იქ არსებულ ვითარებასა და სიტუაციაზე. ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი შევეცადეთ მოკლედ წარმოგვეჩინა, ის ძირითადი სათქმელი, რაც სამაგისტრო ნაშრომშია გადმოცემული.

The topic of the study in the modern Georgian media in social issues
To represent. It is analyzed as well as print,
TV stories, which give us a definite impression,
What issues and what frequent journalists are interested in when
Social issues are covered. Master of the Thesis is the introduction of the three
From the conclusion and conclusion. The introductory section deals with social issues
Generally, the importance of solving these issues is important
For a particular person and for the general public. Master
In the first chapter of the work, we consider one of our region
Important print edition published in the newspaper "Adjara" social
The issues in the same chapter are analyzed by the newspaper "Kviris Palitra"
Social issues. We have presented in the second chapter of the work,
The stories prepared by modern broadcast media, social
Adjara Public Broadcaster and TV Company on issues
Imedi's example. The third chapter of the work is very interesting
It can be said that the so-called "Dream City" is an extraordinary reality. In this chapter
We tried to analyze the situation and the situation there.
In the final part of the work we tried to briefly describe it
The main point is what is presented in the master's work.

შესავალი

ჟურნალისტიკა თავისუფალი პროფესიაა, რომლის როლი თანამედროვე საზოგადოებაში თითქმის შეუფასებელია. იგი ინფორმაციის შეგროვებით, დამუშავებითა და გავრცელებით მთელ პლანეტაზე, სივრცისა და დროისაგან დამოუკიდებლად, ზემოქმედებს მილიონობით ადამიანთა შეგნებასა და ცნობიერებაზე. თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაცია ყველაზე ძვირადღირებუ;ლი პროდუქტია, რომელზედაც კოლოსალური მოთხოვნილებაა. ინფორმაცია და მისი გაცვლა ანუ მასობრივი კომუნიკაცია, შეიძლება ითქვას, ყველანაირი ადამიანური ურთიერთობის საფუძველია. პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, განათლება, მეცნიერება, სოციალური სფერო და ა.შ. არ არსებობს მედიისა და მედიატექნოლოგიების გარეშე, პირიქით, სწორედ კონკრეტულ მედიასაშუალებათა მანიპულირების საფუძველზე ხერხდება კონკრეტული მოვლენებისა და ფაქტების სასურველი მიმართულებით მოძრაობა და დანიშნულების ადგილზე ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე დასახული მიზნების უმტკივნეულოდ მიღწევა. სწორედ ჟურნალისტიკა უზრუნველყოფს მსოფლიოში არსებული უზარმაზარი ინფორმაციული ნაკადის რეგულირებას, ადამიანებამდე მიაქვს

მათთვის სოციალურად საინტერესო და მნიშვნელოვანი ცოდნა, ცნობები, იდეები და შეხედულებები გარემომცვლელ სამყაროში მიმდინარე პროცესების შესახებ. ჟურნალისტური მოღვაწეობა, კერძოდ პუბლიცისტური შემოქმედება - ურთულესი ხელოვნებაა. იგი უნდა ითვალისწინებდეს როგორც ზოგად პროფესიულ, ასევე შემოქმედებითი მუშაობისთვის დამახასიათებელ ასპექტებს.

ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარი ადგილი: როგორ ცხოვრობს, რამდენად შეესაბამება მისი შესაძლებლობები თანამედროვე მოთხოვნებს, რამდენად დაცულია მისი, როგორც ადამიანის უფლებები, როგორია საზოგადოების ან თუნდაც მის ირგვლივ მყოფი ოჯახების ეკონომიური მდგომარეობა? როგორია მათი შემოსავალი? რამდენად მტკივნეულად დგას დასაქმების საკითხი ქვეყანაში? რამდენად დაცულია შრომის უსაფრთხოების პირობები? რამდენად შესაბამისია მათი მდგომარეობა ცხოვრების მოთხოვნილებებთან მიმართებაში? და სხვა უამრავი საკითხთაგანი, რომელიც სოციალურ თემატიკასთან ძალზე ახლო კავშირშია. შეიძლება ითქვას, სოციალური საკითხები და მასთან დაკავშირებული პრობლემები ერთ-ერთი ძირითადი და ურთულესი საკითხთაგანია ყვეყნის აღმშენებლობის გზაზე, რადგან არ არსებობს ამ საკითხისაგან ცალკე მდგომი, რეალობისგან დაშორებული თემები, თუ მას სოციალურ კონტექსტში არ განვიხილავთ. პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, განათლება, მეცნიერება- ეს ის საკითხებია, რომლებიც შეიძლება ვთქვათ, მიბმულია სოციალურ პრობლემატიკაზე, რადგანაც სახელმწიფოს საფუძველი სწორედ ადამიანია და ადამიანი კი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური პროდუქტია და ამდენად, სოციალური პრობლემების მოგვარებაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ნებისმიერი ქვეყანა ვალდებულია დაიცვას და გაუფრთხილდეს საკუთარ მოსახლეობას, გაითვალისწინოს მისი ინტერესები და იყოს გარანტი ქვეყანაში კანონიერებისა და მართლწესრიგისა. ჩემი ინტერესი აღნიშნული თემისადმი სწორედ ამან განაპირობა. მე მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი სოფლის- თხილვანას წარმომადგენელი ვარ. არ მიკვირს რას ნიშნავს უშუქობა, უგზოობა, დიდი ზამთარი, შრომა და გარჯა და ყველა ის პრობლემა, რომელიც ამქვეყნიურ ადამიანურ ცხოვრებას ახასიათებს. სწორედ ამგვარმა

ინტერესმა განაპირობა ჩემი პოზიცია ამ საკითხისადმი. დღემდე მაინტერესებდა და მაინტერესებს ჩემი სპეციალობიდან გამომდინარეც, როგორ აშუქებენ ამ საკითხებს თანამედროვე მედიასაშუალებები. რამდენად მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ჟურნალისტები აღნიშნულ თემებს? არის თუ არა დაცული ბალანსი მათ მიერ გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში? რამდენად მაღალია ჟურნალისტის პასუხისმგებლობა? სამწუხაროდ ძალიან ხშირია მიკერძოებული და რეალობას მოწყვეტილი, არაობიექტური და გადაუმოწმებელი ფაქტების დღის სინათლეზე გამოტანის მცდელობა. ზოგიერთ დამწყებ ჟურნალისტს რატომღაც გაურბის კალამი უარყოფითი და ნეგატიური ინფორმაციისადმი და ამ დროს მას სრულიად ავიწყდება ან არ ხედავს საზოგადოებასი მიმდინარე დადებით ტენდენციებს. აქაოდა ჟურნალისტიკის ბუნება თურმე ყოფილა მხოლოდ ნეგატივის ჩვენება და წარმოჩენა და არც ერთ შემთხვევასი დადებითისა და პოზიტივის მიტანა აუდიტორიასთან. ,,განვითარებული დემოკრატიის პირობებში, სადაც სიტყვის თავისუფლება მაქსიმალურად დაცულია, ყველამ კარგად იცის, როგორ და რანაირად უნდა მოიქცეს, რაზე მოეთხოვება პასუხი და რისი უფლება-მოვალეობანი აკისრია. ამგვარი პასუხისმგებლობის მეტი წილი სწორედ ჟურნალისტიკასა და ჟურნალისტებზე უნდა მოდიოდეს და ობიექტურად სწორედ ჟურნალისტმა უნდა შეაფასოს არსებული რეალობა, გააკეთოს ლოგიკური დასკვნები და აწონ-დაწონოს ის ეფექტი, რომელსაც მის მიერ მიწოდებული მასალა გამოიწვევს“(1:29). რასთან გვაქვს საქმე? რას ნიშნავს პროფესიისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება!? ეს უპირველესად ამავე პროფესიისადმი საზოგადოების მხრიდან ნეგატიურ კონტექსტში აღიქმება და ხელს უწყობს ჟურნალისტებისადმი და ზოგადად ჟურნალისტიკისადმი უნდობლობის გამოცხადებას, დაეჭვებას იმავე საზოგადოებისა მათ მიმართ, რაც საბოლოო ჯამში ე.წ. მეოთხე ხელისუფლების ინსტრუმენტად, იარაღად ქცევას ისახავს მიზნად. ეს მცირე შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ მავანი ისევ ცდილობს გამრუდებულ სარკეში ჩაახედოს ადამიანებს, საზოგადოება მოწყვიტოს რეალობას და ისე წარმოაჩინოს ყველაფერი, თითქოსდა უმისოდ არაფერი კეთდებოდეს ან არაფერი იქმნებოდეს. ჟურნალისტიკა ის ღონიერი და გონიერი ძალაა, რომელიც უპირველესად თავად უნდა

ისწრაფოდეს სიმართლისა და ობიექტურობის, სიკეთისა და პატიოსნების, შრომისა და გარჯის დასამკვიდრებლად, და არა პირიქით. ახლა კი ისევ თემას მინდა დავუბრუნდე და აღვნიშნო: ჩემი ჟურნალისტური დაკვირვებიდან და მცირე გამოცდილებიდან ცხადი ხდება, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია უმუშევართა რაოდენობა, ადამიანებს აქვთ სურვილი დასაქმდნენ, შეასრულონ რაიმე ტიპის სამუშაო და აიღონ შემოსავალი, რომ ირჩინონ თავი და ამასთან შექმნან ოჯახები და გამოკვებონ შვილები. მისცენ მათ შესაბამისი განათლება. მე ასევე კარგად მესმის, რას ნიშნავს ცხოვრება სოფლად, როგორ ცხოვრობენ პენსიონერები ღრმად მოხუცებულობაში და ასევე კარგად მესმის, იგივე მოხუცებს როგორ გააქვთ თავი ქალაქად თვიდან თვემდე, რით იკვებებიან, რამდენად სრულფასოვანია მათი ცხოვრება? მე ასევე ვხედავ ჩემს ირგვლივ არსებულ უამრავ ადამიანს, რომელიც ლუკმა-პურის საშოვნელად იძულებით მიდის უცხოეთში და იქ ძალიან მძიმე სამუშაოებს ასრულებს. მე ასევე მესმის იმ ოჯახებისა და იმ ადამიანებისა, ვისთანაც შშმ პირები ცხოვრობენ, რამდენად რთულია მათი ყოფა და მდგომარეობა. ,,ყოველი ჩვენგანი მასობრივ კომუნიკაციებს სხვადასხვაგვარად, თავისი გემოვნების, ინტერესების, შეხედულებების მიხედვით მოიხმარს“(2:328). მე, შეიძლება ითქვას, ფეხით შემოვიარე ბათუმის ე.წ ოცნების ქალაქი, სადაც ასეულობით ოჯახი მეტად მძიმე და გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. ერთი დასკვნა გავაკეთე ოცნების ქალაქთან მიმართებაში: - აქ ძალიან ბევრს მართლა უჭირს, მართლა არა აქვს რეალური საცხოვრებელი, მართლა ითხოვს სახელმწიფოსაგან დახმარებას, მაგრამ მათთან ერთად და მათ გვერდით არიან ადამიანები, რომელებიც მსგავს სოციალურ გაჭირვებაში არ იმყოფებიან. მათ სხვადასხვა ადგილას მოეპოვებათ მშვენიერი საცხოვრებელი ადგილები, მაგრამ გამორჩენის მიზნით ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ თავი დაჩაგრულად წარმოაჩინონ თითქოსდა უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობენ და არ აქვთ უკეთესი ცხოვრების პირობები. რა ხდება ასეთ დროს? როგორ უნდა იმოქმედოს მეგობრებო ჟურნალისტიკამ და კონკრეტულმა ჟურნალისტმა?! ვალდებულია თუ არა თქვას სიმართლე და ამ სიმართლით აუხსნას და აჩვენოს ყველას რეალობა, რომელიც არ აძლევს საშუალებას ჩვენ სახელმწიფოს, როდესაც

მისი ბიუჯეტი საკმაოდ მწირია და ვერ ახერხებს ერთბაშად ამდენი პრობლემების მოგვარებასა და დადებითად გადაწყვეტას? რა თქმა უნდა, ასეთ დროს გადამწყვეტია პიროვნების, მოქალაქის, საზოგადოების მაღალი პასუხისმგებლობა, გათავისება იმისა, რომ არ მოითხოვო სახელმწიფოსგან ის, რაც უკვე გაქვს. და ამით საშუალება მისცე ჩვენი საზოგადოების მართლაც შეჭირვებულ ფენას, რომ დროზე მოხდეს სახელმწიფოს მხრიდამ მათთვის დახმარების გაწევა. მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება და პასუხისმგებლობაა ამისათვის საჭირო უპირველესად ჟურნალისტებში, რა თქმა უნდა, კულტურაც და განათლებაც, რომ უბრალო რიგით მოქალაქეებამდე დავიყვანოთ სიმართლე, რომ ადამიანები ერთად უნდა დავდგეთ ფეხზე სიმართლისა და ერთმანეთის მხარდასაჭერად, რომ ჩვენისთანა პატარა ქვეყნის შვილები გადავრჩეთ და არათუ გადავრჩეთ, არამედ ბედნიერად და ჯანმრთელად ვიცხოვროთ. მე პროფესიით ჟურნალისტი ვარ და ვიმეორებ, ძალიან დიდია ჟურნალისტიკის როლი საზოგადოების გათვიცნობიერების საქმეში. უმთავრესი საზოგადოებასთან სწორი ინფორმაციის მიტანაა, პრობლემების სწორად დანახვა და ანალიზია, ისე არაფერი გვეშველება. ,,სიზუსტე იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი თავად უნდა გადაამოწმოთ, და არ მიიღოთ ჭეშმარიტ ფაქტად ვინმეს ზეპირად ნათქვამი ან ნაწერი“(3:547). სამწუხაროდ, თანამედროვე მედიასაშუალებების ზოგიერთი წარმომადგენელი ძალიან ტენდენციურია მოვლენების გაშუქებისას, ძალიან პირადულ, ვიწრო ინტერესებზე დაყრდნობით არასწორ ინფორმაციას ავრცელებს და ამძაფრებს სიტუაციას. ,,მედია ეთიკის სტანდარტის მიხედვით, ჟურნალისტი თავის საქმიანობაში, პირველ რიგში, უნდა ეყრდნობოდეს ფაქტებს და უნდა შეეძლოს ბალანსის პოვნა ფაქტობრივ გარემოებებსა და ცალკეულ მოქალაქეთა ემოციურ შეფასებებს, ასევე პოლიტიკოსთა სპეკულაციურ შეფასებებს შორის“(4:60).ამიტომაც კვლავაც მაქვს ინტერესი გავაგრძელო ამ კუთხით საქმიანობა, კიდევ უფრო სიღრმისეულად შევისწავლო აღნიშნული საკითხები, გამოვკვეთო ის ძირითადი პრობლემები, რომელიც ხელს უშლის ქვეყანაში ეკონომიკურ წინსვლას, უმუშევრობის ზრდას, სოციალური პრობლემების მოუგვარებლობას და ა.შ.

თავი 1

სოციალური საკითხების გაშუქება ბეჭდურ მედიაში

ა. სოციალური საკითხები გაზეთ ,,აჭარაში“

ჩვენი რეგიონის მაგალითზე განვიხილე რეგიონული ბეჭდური მედიის საინტერესო გამოცემა გაზეთი ,,აჭარა“. შეძლებისდაგვარად შევისწავლე და წარმოვაჩინე ამ კუთხით წარმოდგენილი პუბლიცისტური წერილები. გთავაზობთ პუბლიკაციებს სოციალურ თემატიკაზე გაზეთ ,,აჭარიდან“.

2019 წლის 1 აპრილი, მარიამ ხითარიშვილის პუბლიკაცია სათაურით- ,,ბათუმში სოციალური მუშაკების გაფიცვა გრძელდება“. მასში საუბარია ქვეყნის მასშტაბით გაფიცული სოცმუშაკების სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე, ხელფასების ზრდაზე, ტრანსპორტირების პრობლემის მოგვარებაზე, კადრების დამატებასა და სხვადასხვა სერვისის ამოქმედებაზე. საქართველოში სოცმუშაკების ეფექტური საქმიანიბის საკითხი 4 წლის გოგონას დაუდგენელ ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ გახდა აქტუალური. ინციდენტი თბილისში მოხდა. 22 იანვარს გარდაცვლილ ბავშვს სახეზე ძალადიბის ნიშნები ჰქონდა. სამართალდამცველებმა ბავშვის დედა ლეილა ქსოვრელი დააპატიმრეს. მიზეზი შემაკავებელი ორდერის დარღვევა გახდა – ქალს შვილთან მიახლოება ჰქონდა აკრძალული მას შემდეგ, რაც იგი 6 იანვარს სხეულის მრავლობითი დაზიანებებით საავადმყოფოში მოხვდა. ამ შემთხვევამ დედას, რიმელმაც თავად გადაწყვიტა შვილი მიმღებ ოჯახში მიებარებინა, პერიიდულად ბავშვი სახლში

მიჰყავდა, ხოლო როდესაც აბრუნებდა, სიციალურ მუშაკებს ძალადობის რაიმე კვალი არ შეუნიშნავთ.

როგორც სტატიაშია საუბარი ბავშვის გარდაცვალების შემდეგ, ჯანდაცვის სამინისტრომ ოთხი სოცმუშაკი გაათავისუფლა, რომლებიც ოჯახს კურირებდნენ. გარდა ამისა, საკუთარი განცხადების საფუძველძე თანამდებობა დატოვა ასევე სიციალური მიმსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსმა მარი წერეთელმა.

`ცვლილებების დრია!~, `დაუცველი დამცველები~, `ჩვენი ხმა მნიშვნელიევანია!~, `სოციალური მუშაკები სისტემური ცვლილებებისთვის~ – ამ სლოგანებით სოციალური მუშაკები აქციას 25 მარტიდან თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და თელავში მართავენ. სოცმუშაკების თქმით, მათ არანორმირებული სამუშაო გრაფიკი აქვთ, ტრანსპირტით მგზავრობის ხარჯებსაც საკუთარი ჯიბიდან ფარავენ და გარდა ამისა, ფსიქოლოგებისა და იურისტების ფუნქციებსაც ასრულებენ.

როგორც აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ თამარ რუნაშვილმა განაცხადა, მას აჭარის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობა აქციაში მონაწილეობის-თვის სამსახურიდან გაშვებით დაემუქრა.

,,ახლა გვაქვს 6-პუნქტიანი მოთხივნა, ამბობს თამარ რუნაშვილი, რომელიც არ არის რთული შესასრულებელი, თუ დამსაქმებლის ნება იქნება. ესაა არასრულწლოვანთა საპროცესო წარმომადგენლობა, ხელფასის სხვა უწყების სოცმუშაკების ანაზღაურებასთან გათანაბრება, ტრანსპორტის გამოყოფა, ფსიქოლოგის და იურისტების, სოცმუშაკების დამატება. დანარჩენი მოთხოვნა უნდა გაიწეროს ვადებში და მიეთითოს პასუხისმგებელი პირები“. როგორც ჟურნალისტი საუბრობს, რეგიონებში კოლეგებზე ზეწოლის ფაქტები ფიქსირდება. ,,ერთ-ერთი, ვისაც დაემუქრნენ, ახლა ჩვენ გვერდით დგას, არ შეშინდა. რამდენიმე სოცმუშაკი, რომლებსაც ხელი ჰქონდათ მოწერილი პეტიციაძე, დღეს ჩვენს გვერდით არ არის, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათზეც განხორციელდა ზეწოლა“. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მათ კრიზისის მართვის გეგმა აქვთ შემუშავებული, ,,რეზერვში ჰყავთ თანამშრომლები, რომლებიც ჩვენს საქმეს გააკეთებენ. გაუგებარია, თუ სოცმუშაკები

ჰყავდათ, კადრების დამატებას რომ ვითხოვდით, თავისდროზე რატომ არ დაგვიმატეს? თუ კი ისინი სოცმუშაკები არ არიან, მაშინ რატომ არღვევენ ჩვენი ბენეფიციარების უფლებებს? ამისთვის სპეციალური განათლებაა საჭირო და ის ცოდნა, რითაც ჩვენ ვართ აღჭურვილები. არ შეიძლება სოცმუშაკი სხვა სპეციალისტით ჩაანაცვლო. ვფიქრობთ, რომ ეს ძალიან არასერიოზული განცხადებაა, – ამბობს სოციალური მუშაკი ნინო ტყეშელაშვილი.

პუბლიკაციაში მოყვანილია საქართველის ოკუპირებული ტერიტორიების და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის თამარ ბარკალაიას განცხადება, სადაც ის ადასტურებს, რომ წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს 50 სოციალური მუშაკი დაემატება. ,,ჯანდაცვის სამინისტროს უპირველესი ამოცანაა, ბენეფიციართათვის იმ სოციალური სერვისების უწყვეტ რეჟიმში შეფერხებების გარეშე მიწოდება, რომელსაც სოციალური სამუშაო ითვალისწინებს და სოციალური მუშაკი ახორციელებს“.

პუბლიკაციის დასასრულს ვგებულობთ, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოში მიმდინარეობს რეორგანიზაცია, რომელიც გააჩენს შესაძლებლობას, გაიზარდის ფსიქოლოგების რაოდენობა. რეორგანიზაციის ფარგლებში, მთელი საქართველის მასშტაბით, დაემატება 12 იურისტი, 50 სოციალური მუშაკი. იგეგმება ყოველწლიურად როგორც მათი რაოდენობის, ასევე სახელფასო განაკვეთის ზრდა, რომელიც გათვალისწინებული იყი 2018 წელს პარლამენტის მიერ შემუშავებულ საქართველის კანონში `სიციალური მუშაკების შესახებ~. კანონის მიხედვით, 2020 წელს სოციალური მუშაკის ხელფასი 1200 ლარამდე გაიზრდება, ხოლი 2022 წელს – 1500 ლარამდე. უკვე დამტკიცდა ბრძანება ,,სოციალური სამუშაოს ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის შესახებ”, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული საქმეებისგან სოციალური მუშაკები უკვე გათავისუფლებულები არიან. დაიხვეწება საპროცესო წარმომადგენლობის ბიზნესპროცესი უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფის ფორმატში, ასევე იგეგმება 20 სპეციალიზებული სოციალური მუშაკის გადამზადება და ჩართვა საპროცესო წარმომადგენლობაში,- ნათქვამია პუბლიკაციაში. 1998 წლის იანვრიდან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულობით პენსიის დანიშვნა და მისი ფინანსური

უზრუნველყოფა მოექცა ერთ სისტემაში- საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში. 2000 წლის აგვისტოდან საქართველოში პენსიების გაცემის პროცესი საგრძნობლად გაუმჯობესდა, რასაც ვერ ვიტყვით გასულ წლებზე. პენსიონერები 14 ლარიან ,,ულუფას" ყოველითვის დასაწყისში დროულად, ყოველგვარი დაგვიანების გარეშე იღებდნენ,- იტყობინება გაზეთი ,,ალია" 2001 წლის იანვრის თვის ნომერში (# 9, გვ 15. ,,ინატრეთ ასეთი სამსახური), მარტის თვის ნომერში კი (# 31,გვ 16 ,,სად გაქრა 300 ათასი ლარი".) პენსიების დარიგება კვლავ პრობლემურია.

გაზეთი ,,აჭარა", 2018 წელი, 8 აპრილი. გაზეთი აქვეყნებს პუბლიკაციას სათაურით ,,პენსიონერთა ოცნებების კვალდაკვალ". მასში საუბარია საზოგადოებისათვის საკმაოდ მტკივნეულ თემაზე, რომელიც საპენსიო რეფორმას ეხება. ამ თემამ მართლაც ბევრი კითხვა გააჩინა საზოგადოებაში. უმეტესობამ არ იცის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით როგორ მოიქცეს. ამ საკითხებზე ზემოთ ხსენებულ პუბლიკაციაში წარმოდგენილია საპენსიო სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, მაგდა კოტრიკაძის ინტერვიუ. როგორც ჟურნალისტი ამბობს : ,,მან ისე მომხიბლავად დამიხატა უზრუნველი სიბერის პერსპექტივები, რომ სასწრაფოდ გადავიფიქრე ამ სქემიდან გამოსვლა და იმედის თვალით შევხედე პენსიონერის სტატუსს".

რესპონდენტი საუბრობს რეფორმის ამოქმედებაზე, რომ უკვე ანგარიშზე 150 მლნ ლარზე მეტია და დაახლოებით 700 ათასამდე მოქალაქეა გაწევრიანებული.

პუბლიკაციაში საუბარია –თუ სად და ვის უნდა მიმართინ ამ საკითხებზე ზუსტი პასუხების მისაღებად, თუ კი 40 წლამდე პირს, რომელიც სავალდებულოდაა ჩართული სქემაში, მოუნდა გამოსვლა და დაგროვებული ფულის გამოტანა? როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში, თუ რატომაა ჩართული 55 წლამდე ქალები და 60 წლამდე მამაკაცები მხოლოდ ამ სქემაში, თუ კი ეს არ იყო მათთვის სავალდებულო? საპენსიო ასაკის პირებს, რომლებიც მუშაობენ, თუ შეუძლიათ ჩართვა? რამდენს უნდა ველოდოთ საპენსიო ასაკის მიღწევის შემთხვევაში ამ დაგროვებითი პენსიის შედეგად? რესპონდენტი, ასევე ხსნის, რომ უცხოელ ეკომიგრანტებს თუ აქვთ უფლება, ჩაერთონ

დაგროვებითი პენსიის სისტემაში? თუ კი შეიცვალა მთავრობა და ახალ ხელისუფალთ არ მოიწონეს წინამორბედთა ინიციატივა, რა ელოდება ჩვენს `საოცნები პენსიას? პუბლიკაციაში ასევე საუბარია დაგროვილი თანხა თუ გადაეცემა მემკვიდრეებით? ყველას გვახსოვს ისიც, როგორ დაკარგეს ჩვენივე ოჯახის წევრებმა ბანკებში საიმედოდ~ განთავსებული თანხები საბჭოთა რეჟიმის რღვევისას, საუბარია პუბლიკაციაში. ჟურნალისტის კითხვაზე თუ რა სარგებელს მოიტანს რეფორმა ქვეყნისა და რიგითი მიქალაქეებისათვის? - რესპონდენტი პასუხობს:- – ისტორიული რეფორმის საშუალო და გრძელვადიანი სარგებელია – ღირსეული ცხოვრება საპენსიო ასაკში, სიღარიბის დაძლევა, საინვესტიციო კაპიტალის ბაზრის განვითარება. ეს იქნება მძლავრი სტიმული ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის. შესაბამისად, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები გაზრდილი შემოსავლებით და ა.შ. აქვეა აღნიშნული, რომ დაბანდებულ თანხებს დაემატება 8-10% წლიური სარგებელი. მოკლედ რომ ვთქვათ, დაგროვებითი საპენსიო შენატანები, პირველად ქვეყნის ისტორიაში, უზრუნველყოფენ მასშტაბური საინვესტიციო კაპიტალის ბაზრის შექმნას, შედეგად კი გაიზრდება ხელფასები და სოციალური დახმარებები. ყველა ეს სიკეთე აისახება ჩვენს მოქალაქეებზე, იმის მიუხედავად, მონაწილეობენ დაგროვებით საპენსიო სქემაში თუ არა.

2019 წლის 18 აპრილი, გაზეთი ,,აჭარა“. გამოცემაში (ნინო ცხვარაძე) რუბრიკაში აღწერილია ის, შეესაბამება თუ არა საქსტატის დათვლილი საარსებო მინიმუმი ქვეყანაში არსებულ სოციალურ -ეკონომიკურ მდგომარეობას? ჯამაგირი არ არსებობს, კაცს რომ ეყოს. კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს. რაც მეტს მოგცემენ, მით მეტი მოგინდება. ჯამაგირი კი არ არის დიდი და პატარა, მადაა დიდი და პატარა~ . . . ჭაბუა ამირეჯიბის ,,დათა თუთაშხია“ რომანიდან ამონარიდი~ საქსტატის გამოთვლილმა საარსებო მინიმუმმა გამახსენა, წერს პუბლიკაციის ავტორი. ,,უფრი მეტი სიცხადისთვის გეტყვით – სახელმწიფომ დაადგინა, რომ ორსულიანი ოჯახისთვის თვეში საკვებისთვის საკმარისია 256.8 ლარი, სამსულიანისთვის – 288.9, ოთხსულიანისთვის – 321, ხუთსულიანისთვის – 361.2, ექვსი და მეტსულიანი ოჯახებისთვის კი 427 ლარი“.

საქსტატის გამოქვეყნებულ კალკულაციას მოსახლეობის მხრიდან იმთავითვე მოჰყვა სამართლიანი მწვავე შეფასებები. გამოდის, რომ ერთი ადამიანის გამოსაკვებად თვეში ხუთი და მეტსულიანი ოჯახისთვის 72 ლარი საკმარისია, თუმცა, რამდენად სრულფასოვანი საკვების მიღებაა შესაძლებელი დღესი 2 ლარად და 40 თეთრად, ამისთვის ღრმა ანალიზი საჭირი არ არის. საკვებ პრიდუქტებზე ფასები ყოველდღიურად რომ იზრდება, არც ეს არის უცხო ვინმესთვის. პურთან ერთად გაზრდილია ბოსტნეულის ფასი, რომ არაფერი ვთქვათ ხორცზე, თევზსა და რძის პროდუქტებზე. რომ იტყვიან, ,,ცეცხლი უკიდია~ ყოველდღიური მოხმარების საკვებ პროდუქტს. მართალია, ტკბილეული დიდად სასარგებლო არაა ჯანმრთელობისთვის, მაგრამ ხილი? საინტერესია, დღიურად დასახარჯი 2 ლარი და 40 თეთრიდან როგორ უნდა უყიდოს, თუნდაც თვეში ერთხელ, დედამ შვილს ვაშლი ან ნებისმიერი სხვა დასახელების ხილი? სათქმელია ისიც, რამდენად ხარისხიანია პროდუქცია, რითაც ვიკვებებით, თუმცა, ეს ცალკე მსჯელობის თემაა. ეს და სხვა მსგავსი შეკითხვები საინტერესო ელფერს სძენს პუბლიკაციის შინაარსს და ხაზს უსვამს ჟურნალისტის პოზიციას, თუ როგორ უნდა უფრთხილდებოდეს სახელმწიფო საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობას. ,,გარდა საკვები პროდუქტებისა, ოჯახებს თანხა სარეცხი და ჰიგიენური საშუალებებისთვის, კომუნალური გადასახადებისთვის, მგზავრობისთვის და ა. შ. სჭირდებათ. საინტერესია, საქსტატში დასაქმებულები ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ფონს ვერ ამჩნევენ, ან ვინც ეს დაიანგარიშა, დღეში 2 ლარი და 40 თეთრით ახერხებს ოჯახის ერთი სულის სრულფასოვან გამოკვებას?- დასმულია რიტორიკული შეკითხვა პუბლიკაციაში.

,,საქართველიში ხელფასი, პენსია, სოციალური შემწეობა დაბალია, თუმცა რეკირდულად მაღალია უმუშევართა რიცხვი. ჩვენს ირგვლივ ბევრი ისეთი ოჯახია, რომელსაც უკიდურესად უჭირს. ამიტომაცაა, მოსახლეიბის დიდი ნაწილი ქვეყნიდან გასვლას რომ ცდილობს. შორს არ წავალ და აჭარის რეგიონის მაგალითზე ვიტყვი – ლუკმა-პურის ფულისთვის მაძიებელი თურქეთის საზღვარზე ყოველდღიურად ათასობით ადამიანი გადადის და გაუსაძლის, არაადამიანურ, დამამცირებელ პირობებში მუშაობს. პრინციპში, არც ჩვენს ქვეყანაშია გასაძლები და უსაფრთხო

სამუშაო გარემო, განსაკუთრებით, სამშენებლო სფეროში, რომელიც, ძირითადად, უცხოელების ხელშია", საუბარია პუბლიკაციაში.

სტატიაში ასევე აღწერილია 6 შვილის დედის ეკონომიკური მდგომარეობაზე, რომელიც სახელმწიფოსაგან დახმარებას იღებს, თუმცა თვეში ერთხელ მაინც ვერ ახერხებს ხორცის შეძენას. ბათუმის მერია მათ 180 ლარით ეხმარება. საარსებო მინიმუმს საქსტატი 2004 წლიდან, საქართველის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის ნომერ 111/ნ ბრძანებით ითვლის. თუმცა, მათი კალკულაცია რომ რეალობას არ შეესაბამება, ეს არაერთხელ უთქვამთ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმიმადგენლებს და მოსახლეობას, ნათქვამია პუბლიკაციაში. ჟურნალისტის აქცენტირება მეტად მტკივნეულ და პრობლემატურ საკითხზე სავსებით სამართლიანია და არ შეიძლება არ დაეთანხმოს მას ნებისმიერი გემოვნების მკითხველი. თუმცა, აქვე ისიც გასათვალისწინებელია, თუ რამდენად აქვს შესაძლებლობა ქვეყნის ბიუჯეტს უკეთესი სერვისი შესთავაზოს სოციალურად დაუცველ ადამიანებს. ისე კი უნდა ითქვას, რომ ქვეყნის ნომერ პირველი პრიორიტეტი მოქალაქე და მისი ღირსეული ცხოვრება უნდა იყოს.

2018 წლის 10 აგვსტო, გაზეთი ,,აჭარა", ჟურნალისტი ქეთევან კილაძე აქვეყნებს სტატიას სათაურით - ,,საშიში და აუცილებელი… ჰაერი"

მასში აღწერილია და დასმულია კითხვები თუ რამდენად სუფთა ჰაერს ვსუნთქავთ? კონტროლდება თუ არა მისი სისუფთავე? რას გვიქადის დაბინძურებული ჰაერი?... თითქმის ეს რუტინული კითხვები ყველა ჩვენგანს აქვს, თუმცა პასუხი ჯერჯერობით არავის არ აქვს და სრულყოფილი პასუხისთვის ვერ მიგვიგნია.. ბოლოდროინდელი გამოკვლევების თანახმად, ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ავადობის და სიკვდილის ტვირთი მხოლოდ ევროპაში წელიწადში 1.6 ტრილიონ დოლარს აღწევს. ექსპერტთა შეფასებით, მავნე მინარევებით გაჯერებული ჰაერი ყოველწლიურად 2 მილიონი ადამიანის ნაადრევი გარდაცვალების მიზეზი ხდება.

ჰაერი უფერო, უსუნო, უხილავი აირების ნარევია, რომლის უმეტეს ნაწილს აზოტი ქმნის(75%). ჟანგბადი ჰაერში მხოლოდ 23% -ია, 1,3% უკავია არგონს და 0,05% ნახშირორჟანგს სხვა აირების შემცველობა კი მცირეა..."

პუბლიკაციაში ავტორს საუბარი აქვს მხოლოდ ჰაერზე, მოცემული აქვს იმ ნივთიერებების რაოდენობა, რაც ჰაერის შემადგენლობაში შედის და მხოლოდ ერთ 2016-2017 წლის წარდგენილ დოკუმენტზე აქვს ყურადღება გამახვილებული, სადაც სამომავლოდ კონტროლირებას და რეგულირებებს ეხება...არ არის მოცემული ის დოკუმენტი, თუ რა სახითაა წარმოდგენილი ის. რას მოიცავს? რა მუხლებისგან შედგება. ყველას კარგად მოეხსენება, რომ დაბინძურებული ჰაერი განსაკუთრებით აისახება ადამიანების სასუნთქი სისტემის დაავადებაზე, შაქრიან დიაბეტზე და ა.შ. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებითაც უამრავი საქმეა გასაკეთებელი, რადგანაც სოციალურად ისედაც შეჭირვებულ საზოგადოების დიდ ნაწილს ამ კუთხითაც რომ არ შეექმნას სერიოზული პრობლემები.

გაზეთი „აჭარა“, 2019 წელი. პუბლიკაციიდან ვგებულობთ, რომ შრომის ანაზღაურება სამართლიანად არ არის განაწილებული. ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მიმართ პრეტენზიები თანამშრომლებს ქონდათ. საინფორმაციო სამსახურის 13 ოპერატორის უკმაყოფილებ- ის მიზეზი ის არის, რომ მათ მემონტაჟის ფუნქციის შეთავსებაც უწევთ, მაგრამ ამაში დამატებით ანაზღაურებას არ ღებულიბენ. ტელეოპერატორებმა გაფიცვა გადაწყვიტეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ხელმძღვანელებთან უშედეგო მოლაპარაკების გამო, რომელიც წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა. დასაქმებულებმა თავიანთი ინტერესების დასაცავად აჭარის უმაღლეს საბჭოს და ჯანდაცვის სამინისტროს მიმართეს. პუბლიკაციიდან ვგებულობთ, რომ ოპერატორ-მემონტაჟეები ორ სფეროს ემსახურებოდნენ და სათანადო ანაზღაურებას ითხოვდნენ. ,,თუ დამატებით სამუშაოს არ აუნაზღაურებდნენ, უნდა შეესრულებინათ მხოლოდ ოპერატორის მოვალეობა, დროა შრომის ანაზღაურება სამართლიანად იქნეს განაწილებული“. სტატიებიდან ჩანს თუ რა მწვავედ დგას დამსაქმებლისა და დასაქმებულის მდგომარეობა აჭარის საზოგადოებრივ მაუწვებელზე. ამიტომაც აუცილებელია ამ ყველაფერს დროზე დაესვას წერტილი და მდგომარეობა გამოსწორდეს. პუბლიკაციაში ასევეა განმარტებული, რომ მოქმედი შრომის კოდექსი ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულის სათანადო სამართლებრივ დაცვას და როგორც

საქართველოს მოქალაქეთა და სამოქალაქო საზოგადოების სამართლიანი პროტესტის, ისე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან დასაბუთებული კრიტიკის საფუძველია. დამსაქმებლისა და დასაქმებულისთვის ურთიერთხელსაყრელი სამართლებრივი გარემოს უზრუნველყოფა საბოლო ჯამში სასიკეთოდ იმოქმედებს როგორც მათ ინტერესებზე, ასევე ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე.

შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით იმედია ბევრი ხარვეზი აღმოიფხვრება და წერტილი დაესმება მსგავსი ხასიათის გაუგებრობებს სხვადასხვა დამსაქმებელ ორგანიზაციებთან მიმართებასი და ეს ყველაფრი, როგორც აღვნიშნეთ, სასიკეტოდ იმოქმედებს ჩვენი მოსახლეობის ინტერესებზე.

2019 წლის 25 აპრილი, გაზეთი ,,აჭარა“. ჟურნალისტ ნანა აბულაძის

პუბლიკაცია სათაურით ,,როგორ ა –ტყვია -თ გარემოს დაბინძურება ბავშვებს“.

,,რა თქმა უნდა, ის მდგომარეობა, რაც გვაქვს მთლიანად ქვეყანაში, საყურადღებოა, მაგრამ არა საგანგაშო”, – აღნიშნული განცხადება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ, ასევე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძრვანელმა ამირან გამყრელიძემ გააკეთეს. თუმცა, რთულია სენსაციური სიმშვიდე, როცა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციას ეცნობი, რომლის მიხედვითაც, ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარის რეგიონში ფიქსირდება. 2018 ივლის სექტემბრიდან დეკემბრამდე, მრავალ ინდიკატორული კლასტერული კვლევის ფარგლებში, საქართველოში პირველად ჩატარდა ტყვიის კომპონენტის კვლევა, რომლის მიხედვითაც, გამოკვლეული ბავშვების 25%-ის სისხლში ტყვიის შემცველობის მცირედი, 16%-ში კი შედარებით მაღალი მატებაა. მონაცემების მიხედვით, პირველი სამეული ასე გამოიყურება – სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 5 მქგ/დლ-ს: აჭარა 85%, გურია 73%, თბილისი 30%, ხოლო ბავშვთა სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 10 მქგ/დლ-ს; აჭარასი 50%, გურიაში 44%, ხოლო თბილისსი 7% ფიქსირდება. კონკრეტულად აჭარის რეგიონში რამ გამოიწვია სისხლში

ტყვიის შემცველობის ასე მკვეთრი მატება, უცნობია. როგორც მიმართულების სპეციალისტები აცხადებენ, არსებობს რამდენიმე ვარიანტი, რომელიც შესაძლოა ჩაითვალოს მიზეზად. მაგალითად, ერთ-ერთი არის აჭარის რეგიონში არსებული ძველი სამხედრო ბაზები, საავიაციო ბაზა, სადაც ინახებოდა საავიაციო საწვავი, დაბინძურებულ ნიადაგში კი დიდხანს რჩება ტყვიის ნარჩენები. ასევე საყურადღებოა სხვადასხვა ტიპის საღებავები, კოსმეტიკური ნაწარმი, ბავშვთა სათამაშოები, გარკვეული ტიპის სამშენებლო მასალები და ასე შემდეგ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 16 ოჯახიდან, სადაც ყველაზე მაღალი – 30 მიკროგრამამდე (გრამის ერთი მემილიონედი ნაწილი) ტყვიის შემცველობა დადასტურდა, 7 ოჯახი აჭარის რეგიონიდანაა. ამავე ცენტრის ინფორმაციით, კვლევის შედეგებით, არცერთ ბავშვი და მათი ოჯახის წევრებში ჯანმრთელობის მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოვლენილა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ დროულად და ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს სახელმწიფო, შესაძლოა სისხლში ტყვიის მომატებულმა შემცველობამ ბავშვებში სხვადასხვა სპექტრის მთელი რიგი პრობლემა გამოიწვიოს. კონკრეტულად კი ტყვიამ შესაძლოა დააზიანოს და შეაფერხოს ტვინის განვითარება, რაც ბავშვის ინტელექტის დაკვეითებსა და ქცევით ცვლილებებში გამოიხატება. ტყვიის მატებამ ორგანიზმში შესაძლოა გამოიწვიოს ანემია, ჰიფერტენზია, თირკმლის პრობლემები, ორსულებში კი გახდეს ნაადრევი მშობიარობის ან ახალშობილის დაბალი დონის მიზეზი“,- საუბარია პუბლიკაციაში.

,,როგორ უნდა ვებრძოლოთ სისხლში ტყვიის შემცველობას, ამას ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი კლინიკური მართვის პროტოკოლით განსაზღვრავენ. იმ 650 ბავშვისთვის, რომლებსაც კვლევის ფარგლებში აღმოაჩნდათ 5 მიკროგრამზე მეტი ტყვია, უახლოეს დღეებში ამოქმედდება სპეციალური სახელმწიფო პროგრამა. სახელმწიფო სრულად დაფარავს როგორც კვლევის, ასევე მონიტორინგის და, თუ საჭიროება მოითხოვს, მკურნალობის ხარჯებს. დანარჩენი ბავშვებისთვის მუშავდება ხანგრძლივვადიანი პროგრამა, რომელსაც 18 წლამდე ბავშვები ჩაერთვებიან“, ვგებულობთ პუბლიკაციიდან.

აჭარის ლაბორატორიული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის რამაზ სურმანიძის განცხადებით, ის შედეგი, რაც აჭარასთან მიმართებაში დადგა, ყურადსაღებია. ტყვიის კვლევა მხოლოდ საკვები პროდუქტების კვლევით არ უნდა ამოიწუროს. მისივე თქმით, ცენტრი გეგმავს ტყვიის კვლევის გაფართოებას სხვადასხვა მიმართულებით, კონკრეტულად ეს შეეხება სამშენებლო მასალებს, სათამაშოებს და ასე შემდეგ.

ოჯახის ექიმის დალი დავითაძის თქმით, მას არ აქვს კონკრეტული რეკომენდაცია, როგორ უნდა მოიქცნენ ოჯახები, რომელთა წევრების ორგანიზმში ტყვიის მაღალი შემცველობა აღმოჩნდება.-,,რეკომენდაცია ზუსტი ვერ იქნება იმდენად, რამდენადაც არ არის გარკვეული, რა ივწვევს ამ ყოველივეს, თუმცა იმაზე, რომ სათამაშოები, ტანსაცმელი და კიდევ ბევრი საყოფაცხოვრებო ნივთი შეიძლება იყოს მიზეზი, აქტიურად მსჯელობენ. თუ კი ბავშვი ხშირად ავადმყოფობს ან განსაკუთრებული ჩივილები აქვს, ჩემი პირველი რჩევა იყნება, ჩაუტარონ ანალიზი ტყვიაზე, რომლის აღმოჩენის შემთხვევაში ხდება დეტოქსიკაცია, რაც ითვალისწინებს სტაციონარულ მკურნალობას რამდენიმე დღით – შესაბამისი მედიკამენტებით ორგანიზმიდან ტყვიის გამოდევნას. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად ატარებს მოკვლევას და მალე გვეცოდინება ზუსტი მიზეზი, თუ რამ განაპირობა ასეთი შედეგი აჭარაში“, – ესაუბრება ჟურნალისტს ოჯახის ექიმი დალი დავითაძე.

პუბლიკაციაში ასევე მოყვანილია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის განცხადება, რომელიც სისხლში ტყვიის არსებობას გლობალურ პრობლემად მიიჩნევს და ამბობს, რომ ,,ჯერჯერობით არ არსებობს ტყვიის კონცენტრაციის უსაფრთხო ნორმა. თუ 5-მქგ/დლ-მდე არის ტყვიის კონცენტრაცია ბავშვის ან მოზარდის სისხლში, ამ დროს ოჯახმა უნდა მიმართოს პედიატრს, რომლის რჩევების მიხედვით იხელმძღვანელებს, ასევე, სასურველია, წელივადში ერთხელ გადაამოწმოს ანალიზები“.

როგორც, პუბიკაციიდან ვგებულობთ, პრობლემა მართლაც სერიოზულია და არამხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან სასწრაფო ნაბიჯებია გადასადგმელი, არამედ მოსახლეობაც შესაბამის მზაობას უნდა გამოხატავდეს აღნიშნული პრობლემის

მოგვარებისათვის. სწორედ ხელისუფლებისა და მოსახლეობის ერთიანი ძალისხმევის შედეგად არის შესაძლებელი ამ და სხვა მსგავსი პრობლემების აღმოფხვრა და მოგვარება.

სოციალური საკითხები გაზეთ ,,კვირის პალიტრა“-ში

გაზეთი ,,კვირის პალიტრა“ თანამედროვე ქართული ბეჭდური მედიის ფლაგმანია. იგი მოიცავს არა მხოლოდ ქართულ სინამდვილეში არსებულ კონკრეტულ მოვლენებსა და ფაქტებს, არამედ ძალზე სიღრმისეულად, საინტერესოდ და შინაარსიანად აშუქებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებსაც. ჩვენ სწორედ ამიტომაც ავირჩიეთ გაზეთი ,,კვირის პალიტრა“ სოციალურ საკითხებთან მიმართებაში, რომ იგი ყველაზე მასშტაბურად, ობიექტურად და სამართლიანად აწვდის ქართველ მკითხველ საზოგადოებას იმ მტკივნეული თემებისა და საკითხების შესახებ, რომელსაც ზოგადად სოციალურ პრობლემატიკად წარმოვიდგენთ, სინამდვილეში კი ეს პრობლემები ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და ამასთან ურთულესია თავისი ბუნებით და რომელთა გამოსწორება და დროული რეაგირება მასზე ერთ-ერთ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ნებისმიერი სახელმწიფოსათვის.

გაზეთ ,,კვირის პალიტრა”, 24.04.2019, პუბლიკაციიდან, ,,ის, რაც ბევრმა თქვენგანმა არ იცის“, რომლითაც ვგებულობთ რა შეღავათებით სარგებლობენ პენსიონერები. საქართველოში პენსიაში გასვლა, არაერთ უსიამოვნო ფაქტორთან ასოცირდება დაბალი შემოსავალი, შრომისნარიანობის დაკარგვა, სახლში ჯდომა... თუმცა, ბევრმა არც იცის, რომ პენსიაში გასვლას გარკვეული უპირატესობებიც აქვს. სტატიაში აღწერილია ის შეღავათები, რომელიც პენსიონერებზე მოქმედებს. ასევე საინტერესოა ისეთი პენსიონერები, რომლებიც პედაგოგებად მუშაობენ. განათლების რეფორმის შემდეგ ეტაპზე, საპენსიო ასაკის ღვაწლმოსილ პედაგოგებს, რომელთაც არ ექნებათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურებისა და სტატუსის ამაღლების სურვილი, ეძლევათ პრივილეგია, ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე 2019 წელს სახელმწიფოსგან ერთჯერადი ფულადი ჯილდო - ორი წლის ჯამური ხელფასი მიიღონ, - აღნიშნულის შესახებ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისივე ინფორმაციით, პედაგოგებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეუნარჩუნდებათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი (საჯარო სკოლების მასწავლებელთა ჯანმრთელობის სადაზრვევო ვაუჩერის პირობების შენარჩუნებით) თუ მასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ კომპეტენციას, ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ უნდა აცნობოს 2019 წლის ბოლომდე; თუ მასწავლებელს არ აქვს სურვილი ან ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას განმეორებითი მცდელობისას, ან თუ მასწავლებელს აქვს მინიმალური კომპეტენცია დადასტურებული, მაგრამ არ სურს, რომ აიმაღლოს სტატუსი - ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ განაცხადოს 2019 წლის ბოლომდე. სახელმწიფო ჯილდოს გაცემა დაიწყება არაუგვიანეს 2019 წლის სექტემბრისა.

ყველა ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2019 წლის ბოლომდე ვერც ერთი შესაძლებლობის ფარგლებში ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას და ვერ აიმაღლებს სტატუსს, შეძლებს პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე - დროებითი ხელსეკრულების საფუძველზე ხელფასის შენარჩუნებით, ნათქვამია პუბლიკაციაში.

2017 წლის 20 ნოემბერი, გაზეთ „კვირის პალიტრა", მკითხველ საზოგადოებას ესაუბრება შობადობის კლებაზე, სადაც ვეცნობით 2017 წლის პირველი ნახევრის მონაცემებს. „საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობამ შობადობას გადააჭარბა. მოსახლეობის რაოდენობამ იკლო - 2014 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით ქვეყანაში - 3,7 მილიონი ადამიანია. 2017 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით ვგებულობთ, რომ საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობამ შობადობას გადააჭარბა - დაიბადა 25 543 და გარდაიცვალა 25 954 კაცი. შედარებისთვის: 2016 წელს საქართველოში დაიბადა 56 569 და გარდაიცვალა 50 771 კაცი. 1980-89 წლებში საქართველოში დაიბადა 455 000 გოგონა, ბოლო ათწლეულში კი (2000-2009 წწ.) - 236 000. 20-დან 30 წლამდე ქალი ყველაზე ნაყოფიერია, ანუ 1980-89 წლებში დაბადებულმა გოგონებმა უკვე მიაღწიეს ამ ასაკს... ახლა ისინი შევლენ ფერტილურ ასაკში, რომლებიც 2000-იან წლებში დაიბადნენ. მათი რაოდენობა კი დაახლოებით

იმის ნახევარია, რაც იყო 1980-89 წლებში. ამას ემატება ისიც, რომ ბევრი გოგონა ემიგრაციაშია. ნათელია, შობადობა კიდევ უფრო შემცირდება! 1989 წელს მსჯავრდადებულთა რაოდენობა¬ 8 400-ს შეადგენდა. ამ მაჩვენებლით საბჭოთა კავშირში მე-11 ადგილზე ვიყავით,- ვგებულობთ პუბლიკაციიდან. 2003 წელს ქვეყანაში მსჯავრდადებულთა რაოდენობამ¬ 8 110 შეადგინა (მათგან თავისუფლების აღკვეთა 2324 კაცს მიესაჯა), მას შემდეგ პატიმართა რაოდენობა საოცრად იზრდება. 2007 წელს 21170 მსჯავრდადებული გვყავდა, 9788 - თავისუფლება აღკვეთილი¬(ანუ 4-ჯერ მეტი, ვიდრე 2003 წელს) და დაახლოებით 300 000 პრობაციონერი. დაპატიმრებული იყო ის თაობა, რომელმაც ერი უნდა გაამრავლოს. იგივე თაობა წავიდა ემიგრაციაშიც. ამან დიდი როლი ითამაშა დემოგრაფიული ვითარების გაუარესებაში.. ასევე 2002 წელს გაუკაცრიელებული იყო 143 სოფელი, 2014 წელს - 223. 2002 წელს იყო 16 ერთკაციანი სოფელი, ახლა არის 39 ერთკაციანი სოფელი. იყო 19 ორკაციანი სოფელი, ახლა - 46. 2002 წელს იყო 132 1-10-კაციანი სოფელი, 2014 წელს - 255. უნდა გამკაცრდეს ემიგრაციული პროცესები. ქვეყანაში 800 0000-მდე პენსიონერი გვყავს, მიღებული სკალით, მოსახლეობა¬ დაბერებულად ითვლება, თუ 60 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 18%-ს უდრის, ჩვენთან ეს მაჩვენებელი 20%-ს შეადგენს.

თუ როგორ შევცვალოთ სასიკეთოდ დემოგრაფიული სიტუაცია? ამ კითხვას პასუხი გაეცა და სამომავლოდ გეგმაც კი არის შემუშავებული - 2014 წლის ივლისიდან შობადობის წახალისება დაიწყო იმ რეგიონებში, სადაც დემოგრაფიული ვითარება მძიმეა (კახეთი, რაჭა-ლეცხუმი, ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი და გურია) - მე-3 ბავშვის დაბადებაზე 2 წლის განმავლობაში ყოველთვიურად 150 ლარი გაიცემა, ხოლო მთაში, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმში 200 ლარი.

2 წლის წინ საქართველოში რიგითობით მე-5 და მეტი 492 ბავშვი დაიბადა, რიგით მეორე ბავშვი კი - 25 ათასამდე. თუ ხელს შევუწყობთ, რომ ოჯახში დაიბადოს მესამე ბავშვი, შობადობა გაიზრდება. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს უწმინდესისა და უნეტარესის ინიციატივა, რომელიც ნათლავს მესამე და მომდევნო ბავშვებს. ფინანსური

მხარდაჭერა უდავოდ დადებითად აისახებოდა ვითარებაზე, მაგრამ საამისო სახსრები არა გვაქვს, ამიტომ ერმა ერი უნდა გადაარჩინოს. თუ დემოგრაფიული საჭიროებისათვის თამბაქოს ფასს დაახლოებით 30 თეთრით გავზრდით, თითქმის 125 მილიონი ლარი მოგროვდება. 2-3 თეთრით რომ გაიზარდოს ბენზინის ფასი, ეს დაახლოებით 38 მილიონია, შეიძლება ხელფასიდანაც დაწესდეს მცირე გადასახადი. ესეც დაახლოებით 37 მილიონს მოგვცემს. რაც მთავარია, უნდა გამოიყოს სახსრები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მედიამაც დიდი როლი უნდა ითამაშოს ვითარების შეცვლაში, ბევრი უნდა ვისაუბროთ ოჯახურ სიწმინდეზე... აღნიშნული პუბლიკაცია არის უაღრესად საინტერესო და ამასთან პრობლემატურიც. მასში ხაზგასმულია ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხი- დემოკრაფიული პრობლემატიკა. ქართველი ერი დღემდე მოვედით, გადავურჩით ისტორიულ წინააღმდეგობასა და კატაკლიზმებს, მოვიტანეთ თვითმყოფადი ეროვნული კულტურა, ტრდიციები, ფასეულობები, ღირებულებები. 21-ე საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველ კაცს კვლავაც ეამაყება თავისი წარსულის,ე როვნების და სხვა ღირებულებათა გამო, მაგრამ დღეს ყველაზე მტკივნეული პრობლემა დემოგრაფიულ პრობლემატიკაში დევს. დაცარიელებული სოფლები, საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული ათეული ათასობით ადამიანი, გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობა და ყოფა კიდევ უფრო ამუხრუჭებს და აფერხებს ქართველი ერის გამრავლებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს. გაზრდილი ცხოვრებისეული პრობლემატიკიდან გამომდინარე ქართველმა კაცმა კიდევ უფრო მეტი ძალა, რესურსი და ენერგია უნდა გამოიჩინოს, რათა გადავრჩეთ. ამ გზაზე ხელისუფლებამაც, ხალხმაც, ერმაც და ბერმაც ერთიანი ძალისხმევით უნდა ვიმოქმედოთ, რომ ქართველი კაცის სახელი და ქართველთა მოდგმა არასოდეს გადაშენდეს და არ აღიგავოს პირისაგან მიწისა. ხსენებული პუბლიკაცია ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და პრობლემატურია, რომელიც ნამდვილად ეხმიანება სადღეისო ვითარებასა და სიტუაციას და ჩემის აზრით ჟურნალისტებმა და ზოგადად მასმედიამ მსგავსი საკითხების გაშუქებას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიაქციონ.

2015, 29 ივნისი, რუსუდან შელია გაზეთ ,,კვირის პალიტრა“, სადაც საუბარია თუ ,,სად და როგორ ქირაობენ ბავშვებს მათხოვრობისთვის“. თბილისის თითქმის ყველა ქუჩის კუთხეში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა თუ ხალხმრავალ ადგილებში მოწყალების მთხოვნელთა რიცხვი იზრდება. მათდამი საზოგადოების დამოკიდებულებამაც გარკვეულწილად სტაბილური ხასიათი მიიღო - მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე მიგდებულ მძინარე ჩვილს უმეტესად ისე ჩავუვლით, გული არ აგვიჩუყდება. საქართველოში ,,ქუჩის ბავშვების" ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს და საზოგადოებაც ამ პრობლემაზე საუბარს გაურბის. მხოლოდ სოციალურ ქსელში, ისიც იშვიათად, თუ ატყდება დროებითი ვიშვიში - ჩვილებს სხვადასხვა საძილე მედიკამენტსა და ალკოჰოლს ასმევენ და ქუჩაში სამათხოვროდ ასე გამოჰყავთ, რასაც გარკვეული ჯგუფი თავს პატარების ყოველდღიური გაქირავებითაც ირჩენს. ვარკეთილის მეტროსთან ქალი მკვდარი ბავშვით ხელში მათხოვრობსო. თუმცა შეიძლება საზოგადოებრივ უარყოფას ერთგვარი ახსნაც მოვუძებნოთ: ხშირად რთულია დაიჯერო, რომ ადამიანმა საკუთარ კეთილდღეობას უმწეო და უსუსური ბავშვების ბედი შესწირა. იქცა თუ არა საქართველოში ბავშვებით მათხოვრობა ბიზნესად, ამის გასარკვევად ორი კვირის განმავლობაში ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებდა. პირველ ეტაპზე უნდა გაერკვია, ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად გამოყვანილ ბავშვებს მართლაც სძინავთ თუ არა მთელი დღის განმავლობაში. ფარული კამერა ჩართო და დროის ათვლა დაიწყო, როდის გაიღვიძებდა. დრო გადიოდა, ბავშვი კი არც ირხეოდა. პერიოდულად გამოჩნდებოდა ვიღაც ქალი, დახედავდა ბავშვს და წავიდოდა. ამასობაში მოსაღამოვდა... უკვე ექვსი საათი შესრულდა, ბავშვმა მხოლოდ საღამოს რვა საათზე გაახილა თვალი... მაშინვე ის ქალი გამოჩნდა, სწრაფად დაავლო პატარას ხელი და ხალხში გაუჩინარდა. ადამიანები, რომლებსაც ბავშვები სამათხოვროდ გამოჰყავთ, ლახავენ ბავშვების უფლებებს. მართლაც ქუჩის ყველა დასაწყისში თუ ბოლოში ვხვდებით არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მოწყალებას ითხოვენ. სამწუხაროა, რომ საქართველოში სტატისტიკა არ არსებობს, არ არის აღწერილი ასეთი ბავშვების რაოდენობა. თუმცა შეუძლებელიც კი არის ამის აღწერა, რადგან რთულია მათი პოვნა. ისინი მონაცემთა

ბაზაში არ ფიქსირდებიან. „ნებისმიერი ბიჭი თუ გოგონა, რომელთაც მათზე პასუხისმგებელი პირები სათანადოდ არ იცავენ, არ მეთვალყურეობენ და რომელთათვისაც ქუჩა გახდა საცხოვრებელი და არსებობისთვის მთავარი წყარო" – ამგვარად განსაზრვრავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ტერმინს „ქუჩის ბავშვები." ბავშვების ეს კატეგორია თავის მხრივ რამდენიმე ჯგუფად იყოფა: ბავშვები, რომლებიც მუშაობენ ქუჩაში და ღამეს სახლში ათევენ, ბავშვები, რომლებიც ქუჩაში პერიოდულად ცხოვრობენ, ბავშვები, რომლებიც მუშაობენ ქუჩაში და აქვე ცხოვრობენ, ბავშვები, რომლებიც მშობლებთან ერთად ცხოვრობენ ქუჩაში, რომლებიც მშობლების გარეშე ცხოვრობენ ქუჩაში და ა.შ

დღეს არც ერთი სტრუქტურა არ ფლობს ზუსტ მონაცემებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ბავშვი ცხოვრობს და მუშაობს ქუჩაში. ამ მიმართულებით ძირითადი წყარო რაც გვაქვს, ანუ ყველაზე დიდი კვლევა რაც ჩატარებულა, არის „Save The Children"_ის მიერ 2008 წელს საქართველოს 4 ქალაქში ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვით, „ქუჩის ბავშვების" რაოდენობა დაახლოებით 1500-ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია საქართველოს მსგავსი მცირე მოსახლეობის მქონე ქვეყნისთვის. ,,ქუჩის ბავშვების" დასახმარებლად, როგორც სახელმწიფოს, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ სხვადასხვა პროგრამები, მაგალითად 2013 წელს გამოიყო თანხები (ევროკავშირი 750,000 ევრო და ,,იუნისეფ" 100,000 ევრო) და დაიგეგმა 2 წლიანი პროექტი. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციები. პროექტის ფარგლებში შეიქმნა 4 ჯგუფი, რომელთა მიზანი „ქუჩაში მცხოვრები ბავშვების" მდგომარეობის შესწავლა და მათი დღის ცენტრებში გადაყვანა იყო. მსგავსი პროექტი უფრო ადრეც, 2007-2009 წელსაც განხორციელდა. პროექტის „კრიზისში მყოფი ბავშვები" ფარგლებში, 2007 წლის ოქტომბერში კვლევა ქუჩის ბავშვების შესახებ, რომელიც ჯონს ჰოპკინსისა და თულანის უნივერსიტეტებთან (ასს) თანამშრომლობით განხორციელდა, ხოლო პროექტის მთავარი ეტაპი 2009 წელს დაიწყო, როცა შეიქმნა მობილური ჯგუფები (ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფი, რომელთა მოვალეობა ქუჩაში მცხოვრები ბავშვების სიტუაციის შესწავლა და მათი დღის ცენტრებში გადაყვანა იყო). უმთავრესი პრობლემა, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ

და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებით არსებობს, არის ის, რომ სახელმწიფოს არ აქვს ერთიანი გრძელვადიანი ხედვა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. საქართველოში უმწვავესია ეს პრობლემა. არ არსებობს სტრატეგია აღნიშნულთან მიმართებაში. გამომდინარე აქედან, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგია „ქუჩის ბავშვების“ პრობლემის მოსაგვარებლად. მიმაჩნია, რომ „ქუჩის ბავშვების“ პრობლემის მოგვარების ძირითადი ნაწილის ადგილობრივ დონეზე გადატანა კარგ შედეგს მოგვცემს, ნათქვამია პუბლიკაციაში. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ჟურნალისტს საშური ცოდნითა და ობიექტური, სამართლიანი დამოკიდებულებით თანამიმდევრულად აქვს გადმოცემული და აღწერილი საკითხი, რომელიც არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნების, არამედ, შეიძლება ითქვას, გლობალური პრობლემაა და იგი დამახასიათებელია საქართველოს თითქმის ყველა ქალაქისათვის, განსაკუთრებით კი ისეთი ქალაქებისათვის, რომელიც მზარდია ეკონომიკურად.

შორს რომ არ წავიდეთ, ვიტყვი, რომ ბათუმის ქუშებშიც ასეთი ბავშვები თითქმის ყველგან, ყველა ქუჩასა თუ გადასასვლელზე გვხვდებიან; არასრულწლოვნები, რომლებიც მათხოვრობენ და არა მხოლოდ არღვევენ გზებზე მოძრაობის წესებს და შესაბამისად საფრთხეს უქმნიან როგორც ქვეითებს, ასევე აფერხებენ ტრანსპორტით გადაადგილებასაც; და მათ გვერდით არიან სრულწლოვანებიც, რომლებიც ჩვილი ბავშვით ხელში მზის, წვიმის, ქარისა თუ სხვა პირობებში მათხოვრობითა და უსაქმურობით ცდილობენ თავის გატანას. მართლაც პრობლემატური და უკვე მოსაბეზრებელიცაა იმ ადგილებში გასვლა, სადაც ისინი დგანან. ითხოვენ ფულს, უარის შემთხვევაში იყენებენ უწმაწურ სიტყვებს, გეხვევიან ფეხებზე, გაყენებენ შეურაცხყოფას და ეს პრობლემა არამარტო ადგილობრივებისთვის, არამედ უცხოელებისთვისაც, ტურისტებისთვისაც კი შემაწუხებელი და მოსაბეზრებელია. ჩემი აზრით, ასეთ ვითარებაში გაზრდილი ბავშვი ვერ იქნება საღად მოაზროვნე, ვერ გაიხედავს მისი სამყაროს ფარგლებს გარეთ და ეს სამომავლოდ საშიშია, როგორც ბავშვის პირადი ცხოვრებისთვის, ასევე ქვეყნის მომავლისთვის. სტატიიდან ვგებულობთ, რომ ,,ასეთი ადამიანების შემოსავალი 300-400 ლარს აღწევს." გარდა

ამისა, არასრულწლოვანთა გაუჩინარების შემთხვევები არცთუ იშვიათია. ოჯახები დაკარგულ ბავშვებს წლობით ეძებენ და მათი პოვნის იმედს არ კარგავენ. იმას, რომ გაუჩინარებულები ხშირ შემთხვევაში ოჯახებს არ უბრუნდებიან, ზოგი სამართალდამცველების არაკვალიფიციურობით, ზოგიც კი სამოქალაქო საზოგადოების პასიურობით ხსნის. საქართველოს შს სამინისტროს საინფორმაციო - ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, ბოლო 8 წლის განმავლობაში საქართველოში უგზო-უკვლოდ დაიკარგა 1164 მამაკაცი, 557-ქალი, არასრულწლოვანი -196, უგზო-უკვლოდ დაკარგულებიდან ცოცხალია ნაპოვნი 1047, გარდაცვლილი - 189 კაცი. 681 გაუჩინარებული მოქალაქის ასავალ-დასავალი გაურკვეველია.

საქართველოში სოფლების დაცლის საკითხი დიდი ხანია აქტუალურია. მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის შესანარჩუნებლად საკანონმდებლო ორგანომ "მთის კანონიც" კი მიიღო, რომელიც სოფლად დასახლებულთათვის შესაბამისი პირობების შექმნას გულისხმობს. თუმცა, სოფლებიდან მოქალაქეთა ურბანულ ცენტრებში გადაბარგების შეჩერება მაინც ვერ მოხერხდა. შესაბამისად, ასეულობით სოფელი გაუკაცრიელდა ან რამდენიმე მოქალაქის იმედად დარჩა. 2014 წლის საყოველთაო აღწერის სტატისტიკურმა მონაცემებმა ცხადყო, რომ შიდა მიგრაციის ტენდენცია განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში შეინიშნება. Allnews.ge გთავაზობ საქსტატის მონაცემებს, თუ რამდენ სოფელში ცხოვრობს 10 და ნაკლები ადამიანი და რამდენი სოფელი დაიცალა ხალხისგან. მონაცემების მიხედვით, თბილისის შემოგარენში, ყველაზე მცირერიცხოვანი ვაკის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი კვესეთია, სადაც 8 ადამიანი ცხოვრობს.

სოფლებიდან მოსახლეობის მიგრაცია ხდება კახეთის რეგიონშიც. მაგალითად, სოფელი სეროდანი, პანტიანი და მარიამჯვარი რამდენიმე მაცხოვრებლის ამარაა დარჩენილი; სოფლები ფხოველი, ბოტკო და ხინჭები კი უკვე ბოლომდე დაიცალა, ასევე, ახმეტის მუნიციპალიტეტის 4 სოფელში აღარავინ ცხოვრობს. სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა მცირდება საგარეჯოსა და თელავის მუნიციპალიტეტშიც, სადაც ჯამში 13 სოფელში 10-მდე მაცხოვრებელი დარჩა. ოსახლეობისგან იცლება

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები, დაახლოებით 89 სოფელში, ცალ-ცალკე მცხოვრებთა რაოდენობა 10-ს არ აღემატება, დაახლოებით 39 სოფელი კი მთლიანად დაცლილია. თიანეთის მუნიციპალიტეტში კი 10-მდე მაცხოვრებელი 13 სოფელს ჰყავს, საიდანაც სამში მოსახლეთა რაოდენობა ორს არ აღემატება. ამავე ტერიტორიულ ერთეულზე მაცხოვრებლებისგან დაცლილია 14 სოფელი. რაც შეეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტს, აქ 21 სოფელში აღარ ცხოვრობენ, 5 სოფელში კი მცხოვრებთა რაოდენობა ძალიან მცირეა, სამ მათგანში კი 2-ს არ აღემატება. ერთ-ერთი რეკორდსმენი ამ კუთხით თუშეთია, კერძოდ, ომალოს თემში დაცლილი სოფლების რაოდენობა დაახლოებით 48-ა. რაც შეეხება იმერეთის რეგიონს, აქ მოქალაქეებისგან 8 სოფელი იცლება, უკვე დაცლილი კი ათეულობით სოფელია, მათ შორის ბაღდათის მუნიციპალიტეტში ორი, წყალტუბოში სოფლებიდან მიგრირება აჭარის რეგიონშიც ხდება. მაგალითად, ქობულეთისა და შუახევის მუნიციპალიტეტის 6 სოფელში მოქალაქეების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. სოფლებში ტყემაკარავსა და ხინოში კი მოქალაექეთა რაოდენობა 2014 წლის მონაცემების მიხედვით, 2-ს არ აღემატება. შუახევის მუნიციპალიტეტში სოფელი ფოთარო კი სრულიად დაიცალა. რაც შეეხება სამეგრელოს, ცაგერის მუნიციპალიტეტში 10-ზე ნაკლები მოქალაქე ერთ სოფელში - კენაშია, ზუგდიდისა და მარტვილისა და სენაკის მუნიციპალიტეტებშიც ანალოგიური ვითარებაა. რაჭა-ლეჩხუმშის მაღალმთიანეთში ბოლო წლებია, სოფლებიდან მიგრაციის ტენდენცია განსაკუთრებით აქტუალურია. კერძოდ, ონი რაიონის 14 სოფელში მოქალაქეების რაოდენობა 10-მდეა შემცირეული. აბროლაურის მუნიციპალიტეტში კი 9 სოფელი დაიცალა. მიუხედვად იმისა, რომ სვანეთი ერთ-ერთი პოპულარული ზამთრის კურორტია, აქ მაღალმთიანი სოფლების მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი მაინც ბარში დასახლებას ამჯობინებს. მაგალითად, მესტიის მუნიციპალიტეტის 34 სოფელში მცხოვრებთა რაოდენობა საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2014 წლისთვის 10-ს არ აღემატებოდა. 4 სოფელი კი მესტიის მუნიციპალიტეტში უკვე დაიცალა. სოფლების გაუკაცრიელების მხრივ შიდა ქართლიც ერთ-ერთი მოწინავეა. კერძოდ, გორში 9 სოფელში მცხოვრებთა რაოდენობა 10-ს არ აღემატება, ხოლო 21-ში აღარავინ ცხოვრობს. ხაშურის მუნიციპალიტეტის 6

სოფელშიც მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება, სამ მათგანში კი მცხოვრებთა რაოდენობა 2-ს არ აღემატება, ამავე ტერიტორიული ერთეულის 12 სოფელში მოსახლეობა აღარ ცხოვრობს.რაც შეეხება კასპის მუნიციპალიტეტს, აქ 23 სოფელი გაუკაცრიელდა, ორი სოფელი კი რამდენიმე მოქალაქის ამარაა დარჩენილი. ქარელის 16 სოფელში კი რამდენიმე მოქალაქე ცხოვრობს. რაც შეეხება ქვემო ქართლს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში, კაკლიანსა და უკანგორაში სულ რამდენიმე ადამიანია დარჩენილი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში კი ამავე მდგომარეობაში 13 სოფელია, 12 სოფელში კი არავინ ცხოვრობს. მარნეულის მუნიციპალიტეტში ასეთ ვითარებაში სულ 2 სოფელია, მაგალითად, სოფელ ჯანხოში მხოლოდ 2 მცხოვრებია. და ბოლოს, სამცხე-ჯავახეთი..ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოსახლეობისგან 2 სოფელი იცლება, ხოლო ამავე ტერიტორიულ ერთეულზე დაბა ბაკურიანსა და წაღვერში 9 სოფელში აღარავინ ცხოვრობს. საერთო ჯამში, საქართველოს მასშტაბით, დაახლოებით 250 სოფელში 10 და 10-ზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობს. ამდენივე სოფელი კი მთლიანად დაცარიელებულია. ცნობისთვის, საქართველოში დაახლოებით 4700 სოფელია. საქართველოს სოფლების და მათი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ . სამწუხაროდ, ჩვენი მთის სოფლები უმეტესად ასეთი მოხუცების იმედად არის დარჩენილი, ეს ბებოები კი განა რამდენს შეძლებენ? რამდენ ლოდინს გაუძლებენ? მიდიან ამა სოფლიდან და მათი წასვლით ის სოფლებიც ნასოფლარი ხდება. ცოცხალ ბებოებს არ ვაკითხავთ და მერე ნასახლარებს ვუპატრონებთ? სულ რაღაც 120 წლის წინ, კერძოდ, 1897 წელს საქართველოს მოსახლეობა 1 919 000 კაცი იყო და აქედან ქალაქის მაცხოვრებელი მხოლოდ - 16%, (ანუ 84% სოფლად ცხოვრობდა), 1926 წელს - 22 %, 1939 წელს - 30 %, 1959 წელს - 42%, 1979 წელს - 52%, 1989 წელს - 56% (სწორედ იმ აღწერით ვიყავით ბოლო ორასწლეულში ყველაზე მეტი - 5,4 მილიონი), 2002 წელს - 52% და 2014 წლის აღწერით, მოსახლეობის 57% ქალაქში ცხოვრობს. ეს ოფიციალურად, თორემ არაოფიციალურად გაცილებით მეტი. უკანასკნელ ასწლეულში სულ უფრო მეტად, თითქმის უკანმიუხედავად ტოვებს ხალხი სოფელს, სამაგიეროდ, ქალაქის, უფრო მეტად, თბილისის მოსახლეობის ხვედრითი წილი იზრდება და ქვეყანა თავკომბალას

ემსგავსება. ადამიანების მესამედზე მეტი დედაქალაქში ცხოვრობს. 2014 წლის აღწერის შედეგებით, ქვეყანაში 3633 სოფელია, სადაც 1 591 000 კაცია, ანუ მოსახლეობის 42%. საქართველოში 223 სოფელია, სადაც მოსახლეობის გრაფაში - 0 წერია, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა აღწერის დროს, ანუ 2002 წელს, შეიძლება ვიღაც კიდევ იყო რეგისტრირებული, მაგრამ ახლა აღარავინ სახლობს. 157 სოფელია 1-დან 5 მცხოვრებით, 98 სოფელში 5-10 კაცია, 828 სოფელში 11-100 კაცი, 503-ში 101-200, 893-ში 201-500, 517-ში 501-1000, 271- ში - 1001-2000, 86-ში - 2001-3000, 45-ში 3001-5000 და მხოლოდ 12 სოფელია, სადაც 5 ათას კაცზე მეტი ცხოვრობს.

გაზეთ ,,კვირის პალიტრა“2017, 11 სექტემბერი. პუბლიკაცია სათაურით ,,დაგვეხმარეთ, სანამ სოფელი გამქრალა"- ვეცნობით სოფლის მდგომარეობას. დღეს მეწყერი კიდევ ერთი მცხოვრების ღობეს არის მიმდგარი - ორიოდ მეტრი აკლია, რომ ღობე მოგლიჯოს და სახლიც მიაყოლოს, ხვალ კი სხვა სახლებსაც მიადგება ვანში, საქართველოს არქეოლოგიურ საგანძურში არის ულამაზესი სოფელი ტობანიერი. სოფელი, სადაც ადამიანებს მომავლის შიში არ ჰქონდათ. ბოლო წლებში კი ყველაფერი შეიცვალა - პატარა და უწყინარმა ტობიარელემ თავი აიშვა და სოფელს ხევში ჩატანას უპირებს. ამ ღელის გამო, მალე სოფელი გზას დაკარგავს, ხალხი კი სახლ-კარს. ამის დაშვება არ შეიძლება, საქართველოში ისედაც ბევრი გაუკაცრიელებული სოფელი გვაქვს.საქმე ცუდად გვაქვს - ტობიარელემ აიწყვიტა, ირგვლივ ყველაფერს გლეჯს, უფსკრულში მიაქანებს. ბოლო სამ წელიწადში მდინარემ ადიდებისას 4-5 ეზო-ნამოსახლარი ცაიტანა ხევში. საბედნიეროდ, ამ ხალხმა მოასწრო აქედან გასახლება. თუმცა, ის ადგილები, რომელსაც ეს პატარა ღელე უტევს, ყოველთვის მშვიდობიანად ითვლებოდა და ასახლება აზრადაც არავის მოსვლია - სამოთხესავით კუთხეს ასე ადვილად როგორ მიატოვებდნენ! დღეს მეწყერი კიდევ ერთი მცხოვრების ღობეს არის მიმდგარი - ორიოდ მეტრი აკლია, რომ ღობე მოგლიჯოს და სახლიც მიაყოლოს, ხვალ კი სხვა სახლებსაც მიადგება და სოფელიც გაქრება. სოფლების ასეთ მდგომარეობას ყურადრების მიქცევა უნდა რათა სოფელი არ დაიცალოს, არ დაცარიელდეს,არ გაუკაცრიელდეს და არ გათითოკაცდეს. უამრავი სოფელი გვახსოვს ასეთი მიზეზით დაცარიელდა და სოფელში თითოორროლა კაცი

დარჩა მხოლოდ. ესეც ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია საქართველოსთვის, საქართველო ისეთი ქვეყანა არ არის რომ ის სოფლების გარესე დავტოვოთ, ჩვენს წინაპრებს ამისთვის არ უბრძოლიათ და არ დაუღვრიათ სისხლი.ტყუილად არ აუშენებიათ აქ ეკლესია-მონასტრები, რომ ერთ დღეს მრევლის და მლოცველის გარეშე დარჩენილიყო. შორს რომ არ წავიდეთ, მეც საქართველოს შვილი ვარ და აჭარის ერთ-ერთ სოფელში დავიბადე, გავიზარდე და დღემდე მოვედი. მე ვცხოვრობ სოფელში, რომლის ისტორიაც 3 ათასწლეულს ითვლის. მე წამოვედი სოფლიდან, სადაც უამრავი ბუნებრივი კულტურული ძეგლებია. ჩემი სოფელიც ამ პრობლემის წინაშე დგას. ეს ხულოს რაიონის სოფელი თხილვანაა. სახელი ბევრი თხილის არსებობის გამო დაერქვა. ჩემს სოფელსაც იგივე პრობლემა აქვს, მას ჩამოუყვება მდინარე, რომელიც წვიმის დროს დიდდება და საფრთხეს უქმნის საცხოვრებლებს და ნათესებს, მოსახლეობის ნარგავებს. სწორედ ამ მიზეზის გამო სოფელში, სადაც 4 წლის წინ 130 კომლი იყო, დღეს მხოლოდ 30- მდე კომლია შემორჩენილი. 3 მილიონი ლარი ცოტა არ არის ერთი სოფლისთვის, რომელიც სოფლის პროგრამით გამოეყო სოფელს, მაგრამ არამიზნობრივმა ხარჯვამ შედეგი ვერ გამოიღო და სესაბამისად მოსახლეობის რეაქციაც არასახარბიელოა. თუმცა იგივე მოსახლეობის დიდ ნაწილს ავიწყდება, რომ მსგავსი პროგრამებით გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა თავადვე უნდა გააკონტროლოს.

გაზეთი ,,კვირის პალიტრა“, 2018 წლის 22 ნოემბერი. ვკითხულობთ პუბლიკაციას, სადაც ქართველი მოსახლეობის 60% თავს დაუსაქმებლად გრძნობს. ,,იზრდება ე.წ. დასაქმებული ღარიბების რიცხვი. ეს არის ხალხი, რომელიც მუშაობს, მაგრამ ამის მიუხედავად, იმდენად დაბალია მათი შემოსავალი, რომ სიღარიბეში ცხოვრობენ". ქვეყანაში უმუშევრობის დონე, ოფიციალური სტატისტიკით, 11,8%-ია და 2009 წლის შემდეგ (16,9%) ყოველწლიურად მცირდება. სხვათა შორის, საქართველო ამ მაჩვენებლით ახლოს დგას თურქეთთან, იტალიასა და პორტუგალიასთან. ჩვენზე მაღალია უმუშევრობა მეზობელ სომხეთში, აგრეთვე ესპანეთსა და საბერძნეთში. არადა, საზოგადოებრივი კვლევის თანახმად, საქართველოში გამოკითხულთა 60% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს, გამოკითხულთა 54% კი უმნიშვნელოვანეს საკითხად

მისთვის და მისი ოჯახისთვის სამუშაო ადგილების შექმნას ასახელებს. რამდენად ჰგავს ოფიციალური სტატისტიკა არსებულ რეალობას? არა მხოლოდ ეს, არამედ არაერთი ადრინდელი საზოგადოებრივი აზრის კვლევა სტაბილურად გვიჩვენებს ერთსა და იმავე შედეგს, რომ მოსახლეობისთვის ყველაზე მწვავე პრობლემა კვლავაც უმუშევრობაა. ეს საკითხი თავისი მნიშვნელობით გამოკითხვებში უსწრებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხსაც კი, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობა. საგულისხმოა, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევაში უმუშევრობის 54%-იანი მაჩვენებელი თითქმის ორჯერ უსწრებს სიღარიბის 30%-იან მაჩვენებელს; ანუ მოსახლეობა ბევრად მწვავედ განიცდის თავის პროფესიულ უნარებთან, გამოცდილებასა თუ რეალურ პოტენციალთან შეუსაბამო მდგომარეობას და მიუხედავად იმისა, არის თუ არა დასაქმებული, მიიჩნევს, რომ გაცილებით უკეთეს დასაქმებას იმსახურებს“, ვკითხულობთ პუბლიკაციაში. ძალზე საინტერესოდ იკვლევენ უმუშევრობას ევროკავშირის ქვეყნებში. იმის შესახებაც კი აქვთ ინფორმაცია, დასაქმებულთაგან რამდენის სამუშაო შეესაბამება პროფესიას, ცოდნასა და უნარებს. სტატისტიკურად თითქოს ყველაფერი კარგად არის: უმუშევრობის დონე ქალაქად 27-28%-ია, სოფლად - 8%, მაგრამ ქალაქში ფულადი შემოსავლები თითქმის 1,5-ჯერ მაღალია, ვიდრე სოფლად. ეს კიდევ ერთი ინდიკატორია იმისა, რომ ოფიციალური მონაცემები მიახლოებითაც ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას. სავსებით ბუნებრივია, რომ გამოკითხულთა 60% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს და მხოლოდ 40%-ს მიაჩნია, რომ დასაქმებულია. რა თქმა უნდა, ეს მონაცემი დიდად აღემატება ოფიციალური სტატისტიკის უმუშევრობის მონაცემს, რომელიც 2016 წლის მაჩვენებლებით 11,8%-ის ფარგლებში იყო (2017 წლის მონაცემი საქსტატს ჯერ არ გამოუქვეყნებია). თავის დროზე ჩვენ, რონდელის ფონდმა, კვლევა ჩავატარეთ, სადაც ნათქვამია, რომ, თუ ისე დავითვლით ქვეყანაში უმუშევრობას, როგორც ითვლის საქსტატი, ანუ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმებით, მაშინ უმუშევრობა ნამდვილად იმაზე მეტი არ გვექნება, ვიდრე სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს. მაგრამ, თუ უმუშევრობის სიღრმისეულ ანალიზს ჩავატარებთ, მათ შორის არასრულ დასაქმებას, ფარულ უმუშევრობასა და სტრუქტურულ

უმუშევრობას შევაფასებთ, ანუ კვალიფიკაციასთან შეუსაბამო დასაქმებას, მაშინ უმუშევრობას ქვეყანაში ზუსტად 60%-ის ფარგლებში მივიღებთ. თუნდაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით დათვლილი 11,8%-იანი უმუშევრობა სულაც არ არის დაბალი მაჩვენებელი, პირიქით, ძალიან მაღალია. უმუშევრობის სტატისტიკაზე მეტი პრობლემა კი ის გვაქვს, რომ ჩვენთან ე. წ. დასაქმებული ღარიბების რიცხვი იზრდება. ეს არის ხალხი, რომელიც მუშაობს, მაგრამ იმდენად დაბალია მათი შემოსავალი, რომ სიღარიბეში ცხოვრობენ, გვეუბნება ჟურნალისტი და მკითხველი საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი, მგონია ეთანხმება მის მოსაზრებებსა და შეხედულებებს. ,,ჩვენ გვაქვს სისტემური შინაარსის პრობლემა, რომელიც სისტემურ მიდგომას საჭიროებს, რისი კატასტროფული დეფიციტიც ბოლო 30 წლის განმავლობაში გვაქვს. მაგალითად, დავიწყებთ რაღაც დასაქმების პროგრამას, რომელსაც მხოლოდ მოკლევადიანი, ეპიზოდური ეფექტი აქვს და საბოლოოდ შედეგს ვერ ვიღებთ. უმუშევრობა მხოლოდ მაშინ დაიძლევა, როცა წარმოებაზე ორიენტირებული ბიზნესი განვითარდება და დასაქმებული მოქალაქეები შემოსავლების ოდენობით თავს ნამდვილად და არა ნომინალურად დასაქმებულად იგრძნობენ". სამსახურის მაძიებლების უმეტესობა, ძირითადად, გაზეთებში, სოციალურ ქსელ¬ებსა თუ ქუჩაში გამოკრულ ვაკანსიებს ეტანება, ამის მიზეზი კი დამსაქმებლისგან მოთხოვნილი მინიმალური კრიტერიუმებია, რომლებსაც საქართველოში დღეს თითქმის ყველა აკმაყოფილებს. როგორ დავსაქმდეთ, რა ღირს შრომა ჩვენს ქვეყანაში, რა სამუშაო გრაფიკს გვთავაზობენ და რა მოთხოვნებს უნდა ვაკმაყოფილებდეთ, რომ სამსახური ვიშოვოთ? გაზეთი ,,კვირის პალიტრის''ჟურნალისტმა ჩაატარა ასეთი გამოკითხვა თითქოს ის სამსახურის მაძიებელი იყო შედეგად მივიღეთ ასეთი: ნომერზე დავრეკე. დამსაქმებლები ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში დამხმარე ბიჭებს ეძებდნენ. კარგა ხანს რეკავდა, თუმცა არავინ პასუხობდა. იმედგაცრუებულმა შემდეგი დამსაქმებლის ნომერი აკრიფა. სადღეღამისო ავტოსამრეცხაოში ავტომობილის კვალიფიციურ მრეცხავებს ეძებენ. შუახნის მამაკაცმა მიპასუხა:

- განცხადებაში წერია, რომ დღის და ღამის ცვლაა. რამდენ საათიანი გრაფიკია?

- დილის 9-დან საღამოს 9-მდე, და საღამოს 9-დან დილის 9-მდე.

-ანაზღაურება?

- მოჭრილი ხელფასი არ არის. გამომუშავებული თანხის 30 პროცენტია.

- კარგი, მოვიფიქრებ და შეგეხმიანებით. სოციალურ ქსელში ამოკითხულ ერთ-ერთ განცხადებაში კი დამსაქმებელი, საქმის ადგილზე შესწავლით, ცხელი ლავაშის წარმოებისთვის შრომისუნარიან კადრებს ეძებდა. მოთხოვნებში მითითებულია, რომ სამსახურის მსურველი სტაბილური და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პირი უნდა იყოს. ობიექტი, სადაც დამსაქმებელმა გასაუბრებაზე დამიბარა, გლდანში აღმოჩნდა.

- როგორია სამუშაო გრაფიკი?

- დილის 8-დან საღამოს 7-მდე. დილის 8-ზე აქ უნდა იყო, 15 წუთში უნდა მოწესრიგდე, ჩაიცვა ფორმა და დაიწყო მუშაობა. დასვენება კვირაში ერთი დღეა. ახლა ორი ,,ღუმელი გვაქვს და მესამეს ვამატებთ. ახალი ჯგუფი მესამე ,,ღუმელისთვის" მჭირდება. თუ გყავს სანაცნობოში ორი ენერგიული გოგო, მოიყვანე.

- განცხადებაში წერია, რომ საქმეს ადგილზე შემასწავლით...

- კი ბატონო. დღის განმავლობაში1000-1200 სომხური ლავაში უნდა გამოაცხო. 1000 ლავაშზე 21 ლარი, 1200-ზე - 26. ხელფასი თვესი 500 ლარი გამოდის.

- დასვენება რამდენი საათია?

- დაახლოებით ნახევარი საათი...“

საქართველოში სამსახურის მაძიებელთა რიცხვი არცთუ ისე ცოტაა, ადამიანები ეძებენ სამსახურს, დამსაქმებლები ეძებენ კადრებს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, განცხადებების მიღმა, უკეთეს შემთხვევაში, სულ სხვა სამსახური და მოთხოვნებია. ხვალ ახალი დღე გათენდება, სამსახურის მაძიებლები ისევ არარსებული სამსახურის ძიებაში გალევენ კიდევ ერთ დღეს. სოფლის მოსახლეობის წილი კი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში დაახლოებით 45%-ია. ოფიციალური სტატისტიკით, სოფელში უმუშევრობის დონე 5.4%-ია, ხოლო ქალაქში – 22.1%. საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულები (სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, საცალო ვაჭრობასა და სხვა) ჭარბობს. სულ დასაქმებულია დაახლოებით 1,7 მილიონი ადამიანი, აქედან დაახლოებით 1 მილიონი (60%) თვითდასაქმებულია. სწორედ ამ

ფორმით დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი არ თვლის თავს დასაქმებულად და სოციოლოგიურ გამოკითხვებში პასუხობს, რომ უმუშევარია. 692 ათასი ადამიანი არის დაქირავებით დასაქმებული და, შესაბამისად, მათ არა აქვთ აღქმა, რომ უმუშევრები არიან. აქედან დაახლოებით 150 ათასი ადამიანი საჯარო სექტორშია დასაქმებული.

თავი 2

სოციალური საკითხები სამაუწყებლო მედიაში

სოციალური საკითხები აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე

აჭარის ტელევიზიაში ვხვდებით სიუჟეტს საიდანაც ვგებულობთ, რომ ე. წ „ ოცნების ქალაქში“ ბინების მისაღებად რეგისტრაცია დასრულდა. 1637 ოჯახი აჭარის ჯანდაცვის სამინისტროსთან შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა. აქედან 90-მდე მცხოვრები რეგისტრაციის გასავლელად არ მივიდა. მათი რეგისტრაციისთვის სამინისტრო დამატებით დროს გამოყოფს. ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად კომისიაში ადგილობრივებიც მუშაობდნენ. რეგისტრაციის პერიოდი დაახლოებით 5 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ოცნების დასახლების მცხოვრებლებს მრავალსართულიანი საცხოვრებლების აშენებას მიმდინარე წლის თებერვალში დაპირდა. აჭარის ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, საცხოვრებელი კორპუსების ასაშენებლად ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე გამოვლენილია, რომელმაც უახლოეს პერიოდში უნდა წარმოადგინოს 400 ათასი ლარის ღირებულების პროექტი. როგორც სატელევიზიო სიუჟეტიდან ირკვევა მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის. ამის ნათელი მაგალითი ე.წ ოცნების ქალაქია. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ყველა ვინც ე.წ ოცნების ქალაქში ცხოვრობს, ნამდვილად არ აქვთ ისეთი მძიმე გასაჭირი, რომ სახელმწიფოსგან ითხოვდნენ ასეთ სერიოზულ მხარდაჭერას. იგეგმება საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, მისასალმებელი ფაქტია რა თქმა უნდა, მაგრამ ჟურნალისტებიც ასევე

უნდა გრძნობდნენ თავის წილ პასუხისმგებლობას, როდესაც მსგავს საკითხებზე სიუჟეტებს ამზადებენ. ვგულისხმობთ, დაბალანსებულ ინფორმაციას, სადაც ხაზგასმული იქნება მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება და ამასთან გამოკვეთილი იქნება ვის ეკუთვნის და ვის არა საცხოვრებელი ფართი.

აჭარის ტელევიზია, 05 აპრილი, 2016, სატელევიზიო სიუჟეტიდან ვგებულობთ, რომ სოციალური დახმარების სააგენტომ დღეს სოციალურად დაუცველ სურმანიძეების ოჯახს საყოფაცხოვრებო ტექნიკა და საკვები პროდუქტი გადასცა. პროგრამა რეგიონის მასშტაბით მოქმედებს და დღემდე 165-მა ოჯახმა ისარგებლა. აქვე საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ბენეფიციარები, რომ მათთვის საჭირო ნივთები მიიღონ. მათ სააგენტოს განცხადებით უნდა მიმართონ. სატელევიზიო სიუჟეტიდან გამოჩნდა თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო სოციალურად დაუცველ პირებზე. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ასეთი სერვისების გატარება და ისეთ ოჯახზე დახმარების აღმოჩენა, როგორიც სურმანიძეების ოჯახია და არამხოლოდ სურმანიძეების. სამწუხაროდ საქართველოში სურმანიძეების მსგავსი ოჯახი ბევრი გვყავს.

07 აპრილი, 2016, აჭარის ტელევიზია ამახვილებს ყურადღებას მთაში მცხოვრებთა სტატუსის მქონე პირებზე. სიუჟეტიდან ვგებულობთ, რომ ქედაში გამგეობაში შექმნილი სტატუსის მინიჭების კომისიამ გამგებლის ბრძანებით 17 ათასიდან 14 ათას 223 მოქალაქეს მთაში მცხოვრების სტატუსი მიანიჭა.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. კანონის თანახმად, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ასევე ენიჭებათ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში შემავალ დასახლებებს მათი ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიუხედავად. საქართველოს მთავრობის დადგენილებით მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს ზღვის დონიდან 1 500 მეტრ სიმაღლეზე ქვემოთ მდებარე დასახლებებსაც, რომელიც აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

დღეისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსი 1729 დასახლებას აქვს. მაღალმთიანი დასახლებების ყველაზე მეტი რაოდენობა ზღვის დონიდან 1000 მეტრიდან 1500 მეტრამდე მდებარეობს - 41%, ზღვის დონიდან 1 000 მეტრამდე - დასახლებების 32%, ხოლო ზღვის დონიდან 1 500 მეტრს ზემოთ - დასახლებების 27%.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, მაღალმთიანი დასახლებების სტატუსის მქონე დასახლებებში 317.7 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით 30%-ით ნაკლებია.

მაღალმთიან დასახლებების უმეტეს ნაწილში აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერება. საქართველოში 65 წელს გადაცილებული პირები მოსახლეობის 14%-ს წარმოადგენს, ხოლო 50 წელს გადაცილებული პირების რაოდენობა 30%-ია, მაშინ როცა მაღალმთიან დასახლებებში ასაკოვანთა რაოდენობა, შესაბამისად 15.7% და 35.8%-ია. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით შექმნილი სათათბირო ორგანო - ოფიციალურად 1 იანვრიდან ფუნქციონირებს, რომელსაც გამგებელი ხელმძღვანელობს. ჩემი აზრით, მართლაც საჭიროა მსგავსი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ამ საკითხს გაუძღვება. ეს საწინდარი იქნება იმისა, რომ სოფლები დაცარიელებას გადაურჩეს, თუ არ ვიზრუნეთ სოფელზე, მალე უამრავი დაცარიელებული სოფელი გვექნება, რაც საქართველოს ყველანაირად დაწევს უკან. აღნიშნული სიუჟეტი საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ საუბარია არა მხოლოდ მაღალმთიანი რეგიონების მცხოვრებთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, არამედ ხაზგასმულია მეტად მტკივნეულ საკითხზეც:- დემოგრაფიულ პრობლემატიკაზე, რომელიც ნამდვილად აქილევსის ქუსლია ჩვენი ქვეყნისათვის. ხელისუფლება სწორედაც აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს, რადგან სოფლების დაცარიელება ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის, შეიძლება ითქვას, დაღუპვის ტოლფასი აღმოჩნდეს. სწორი და გათვლილი პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი აღნიშნულ საკითხებს დროულად დაარეგულირებს და ჟურნალისტებიც ამ მიმართულებით მეტ პასუხისმგებლობას უნდა ავლენდნენ.

2016 წლის19 აპრილი, აჭარის ტელევიზია. სიუჟეტიდან ჩანს, რომ აჭარის მუნიპალიტეტებში ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. აღმოჩნდა, რომ მთავარ პრიორიტეტად მოსახლეობა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მიიჩნევს. სხვადასხვა მუნიციპალიტეტს რა თქმა უნდა სხვადასხვა პრობლემები აწუხებთ, მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებული 596 ათას 828 ლარიდან 95% შიდა გზებზე ბეტონის საფარის დაგებას მოხმარდება. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე 48 000 ლარით მეტი დაიხარჯება. მაგალითად, ხულოში მოსახლეობა მთავარ პრიორიტეტად საგზაო ინფრასტრუქტურას, გარე განათებების მოწყობას ასევე მოტობლოკების შეძენას მიიჩნევს. ხოლო შუახევი ერთადერთი მუნიციპალიტეტია, სადაც პროგრამებზე გამოყოფილი თანხა 24 ათასი ლარით შემცირდა. პროგრამის ბიუჯეტი 2016 წლისთვის აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეში გაიზარდა. მართალია აღნიშნული სიუჟეტი საზოგადოებას ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ აწვდის ინფორმაციას, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ მსგავს საკითხზე ჩვენს სამაგისტრო ნაშრომშიც უნდა ყოფილიყო ყურადღება გამახვილებული. მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება პირდაპირ აისახება საზოგადოების თითოეული წევრის სოციალურ პირობებზე. მოწესრიგებული გზები, ამბულატორიები, საფეხბურთო მოედნები სხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხებია და მათი მოგვარება ნებისმიერი ადამიანისათვის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. ,,მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვის და მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში, ენიჭება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. კანონმდებლობით მათთვის გათვალისწინებულია შემდეგი სოციალური და საგადასახადო შეღავათები:- დანამატი სახელმწიფო პენსიაზე, დანამატი სოციალურ პაკეტზე, ფულადი დახმარება შვილის შეძენის შემთხვევაში. სახელფასო დანამატი მასწავლებლებს, მწვრთნელებს, ექიმებს და ექთნებს, მოხმარებული

ელექტროენერგიის თანადაფინანსება, დასაქმებულთა და მეწარმე ფიზიკური პირების გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადიდან და მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე არსებული მიწის მესაკუთრეთა ქონების გადასახადისგან გათავისუფლება. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონით“. პენსიონერები და სოციალური პაკეტის მიმღები პირები, სოციალური დახმარების სახით, ყოველთვიურად მიიღებენ დანამატს შესაბამისად, სახელმწიფო პენსიისა და სოციალური პაკეტის არანაკლებ 20%-ს. სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული ექიმი სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობის, ხოლო ექთანი პენსიის ერთმაგი ოდენობის ყოველთვიურ დანამატს. ზამთარში გათბობის უზრუნველყოფისთვის შესაბამისი ღონისძიებებიც განხორციელდება. აბონენტებს არაუმეტეს 100 კილოვატი ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში, ელექტროენერგიის საფასურის 50% აუნაზღაურდებათ. შობადობის წახალისების მიზნით, დაბადებულ პირველ და მეორე ბავშვზე ოჯახს მაღალმთიანი ერთი წლის განმავლობაში დაენიშნება ფინანსური დახმარება არანაკლებ 100 ლარის ოდენობით, ხოლო მესამე და მომდევნო ახალშობილზე – არანაკლებ 200 ლარი ერთი წლის განმავლობაში. ზოგად საგანმანათლებლო და პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლები მიიღებენ ხელფასის 35%-იან დანამატს, მთავრობის მიერ სპორტის განვითარების მიზნით შემუშავებულ შესაბამის პროგრამებში დასაქმებული მწვრთნელები, ასევე წახალისდებიან ხელფასის არანაკლებ 50%-იანი დანამატით. მთავრობისაგან ხელშეწყობა ექნება მთაში ბიზნესის წარმოებას. შეღავათები მოგების, ქონებისა და საშემოსავლო გადასახადებზეა გათვალისწინებული.

აპრილი 2016, , აჭარის ტელევიზია, ამ სიუჟეტში ეკომიგრანტებზეა საუბარი. ეს არის პრობლემა, რომელიც სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში მოხვდა. როგორც სიუჟეტიდან ჩანს, კვლავ მძიმეა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 10 ათასობით ოჯახის მდგომარეობა. ომბუდსმენის ანგარიშში წერია, რომ მთავრობის მიერ შეჩერებულია “ეკომიგრანტების შესახებ” კანონის მიღება.

ისევ და ისევ ეს პრობლემა- საზოგადოება ტოვებს სოფლებს:- ზოგი მართლაც ეკოლოგიური მდგომარეობის გამო,ზოგი ცხოვრებისთვის შეუსაბამო ადგილების

გამო,-სამწუხაროა რომ დღემდე ვერ ხერხდება ამდაგვარი პრობლემების აღმოფხვრა. ეკომიგრანტები სამშობლოსთვის დიდი ტკივილია. მოსახლეობა გადადის ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე საცხოვრებლად ან სამუდამოდ ან კიდევ დროებით. აუცილებელია მათი მძიმე გამოცდილებისა და წუხილის გაზიარება, მათთვის საჭირბოროტო საკითხების მიმართ ჯეროვანი ყურადღების დათმობა, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან. ეს საჭიროა ამ ადამიანებისთვის და იმისთვისაც, რომ ყველა საშუალება გამოვიყენოთ მშვიდობის განსამტკიცებლად, უმეტესობა გარკვეული ადგილიდან სამუდამოდ საცხოვრებლად გადადის, რაც ადგილების დაცარიელებას განაპირობებს. ამის შემდეგ უკვე გარკვეულ პრობლემეს ვაწყდებით, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას უკანა პლანზე წევს. ყველა ადამიანს, ვინც იძულებით იქნა გადაადგილებული თავისი საცხოვრებლიდან, აქვს დაბრუნების უფლება, მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა დევნილის სტატუსს. საქართველოს მთავრობა ვალდებულია შექმნას სათანადო პირობები, რაც საშუალებას მისცემს დევნილებს დაბრუნდნენ ნებაყოფილებით, უსაფრთხოდ და ღირსებით, სურვილისამებრ განსახლდნენ ქვეყნის ნებისმიერ მხარეში.1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის შემდეგ, უამრავი ადამიანი ლტოლვილის სტატუსით ქუჩაში დარჩა.მათი დაბინავების პრობლემა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ვერ მოაგვარა. ისინი, სადაც ცარიელი შენობები ნახეს, შესახლდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იქ ცხოვრებისათვის არანაირი ყოფითი პირობები არ იყო. ძირითადად ლტოლვილები საქართველოში 1994 წლიდან გამოჩნდნენ, თუმცა მათი რაოდენობა 1999 წლამდე ერთეულებით შემოიფარგლებოდა. 1999 წლის რუსეთის ფედერაციაში, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში დაწყებული საომარი მოქმედებების გამო, საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მაძიებელთა მოთხოვნამ მასიური ხასიათი მიიღო. დღესდღეობით საქართველოში მოსახლეობის სოციალურად დაცვას სახელმწიფო პოლიტიკა, ანუ სახელმწიფო უზრუნველყოფს. მიღებულია, რომ ყველა სახელმწიფო პროგრამა, მათ შორის სოციალურიც, სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა დააფინანსოს.

14 მაისი 2016, აჭარის ტელევიზია. სატელევიზიო სიუჟეტიდან ვგებულობთ, რომ კოალიცია ''დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირების პროექტს ბათუმიდან იწყებს. ტრენინგში მონაწილე ადვოკატები გაეცნობიან ყველა იმ მნიშვნელოვან დებულებას, რაც შშმ პირთა დაცვის კონვენციით არის გათვალისწინებული და ამ კატეგორიის ადამიანების უფლებებს ეხება. საერთოდ, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა განისაზრვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის 9 დეკემბრის დეკლარაციით „ინვალიდთა უფლებების შესახებ“, მის მიერვე 1993 წლის 20 დეკემბერს მიღებული „ინვალიდთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული წესებით“, საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა მოქმედი საკანონმდებლო აქტებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. სახელმწიფო ცნობს ჟესტების ენას პიროვნებთაშორისი ურთიერთობის საშუალებად და უზრუნველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის. შეზრუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათ მიერ შექმნილ საზოგადოებრივ გაერთიანებათა სოციალური ინტეგრაციისა და განვითარების მხარდასაჭერად სახელმწიფო ახორციელებს ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებს (სესხები, გადასახადებისაგან გათავისუფლება, მიზნობრივი სუბსიდიები, სპეციალური ფონდებიდაა.ს.). აღნიშნული ეკონომიკური ღონისძიებების გამოყენების წესი, პირობები და ოდენობა განისაზრვრება საქართველოს კანონმდებლობით. სოციალური პაკეტი ენიშნებათ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 144 ლარის ოდენობით; სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად ზომიერად გამოხატული შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირებს - 134 ლარის ოდენობით; ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც 18 წლის ასაკის შემდეგ დადგენილი აქვთ ზომიერად გამოხატული შეზრუდული შესაძლებლობის სტატუსი - 100 ლარი.

სოციალური პაკეტი ენიშნებათ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს:

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილთა შეზრუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვს - 224 ლარის ოდენობით;

სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს ან შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი, აგრეთვე ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შემდგომ პერიოდში გარდაცვლილი მეომრის შეზრუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავსვს - 202 ლარის ოდენობით;

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების სემთხვევასი, გარდაცვლილი პირის სეზრუდული სესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავსვს - 187 ლარის ოდენობით; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს - 180 ლარის ოდენობით.

17 მაისი, 2016, აჭარის ტელევიზია. სიუჟეტში საუბარია შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვებზე. საიდანაც ვიგებთ, რომ სოციალური ადაპტაციის 2016 წლის პროგრამა დაიწყო. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე 18 წლამდე 20 მოზარდი წლის განმავლობაში რეაბილიტაციის კურსს გაივლის, შეისწავლიან სოციალურ უნარ-ჩვევებს. ექიმები მოზარდებს ფსიქოლოგიურ დახმარებას და სადღეღამისო მომსახურეობას გაუწევენ. პროგრამა წელს მესამედ ხორციელდება. რეაბილიტაციის კურსი ოც დღეს მოიცავს, ასევე ფინანსდება თანხმლები პირიც. პროგრამის წლიური ბიუჯეტი 36 ათასი ლარია.

25 აგვისტო 2016 აჭარის ტელევიზია. სატელევიზიო სიუჟეტი შშმ პირების დასაქმების საკითხზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდამჭერი ნაბიჯი. ამ პირების დასაქმების

ხელშეწყობის მიზნით საქართველოს სამთავრობო უწყებები აფორმებენ დოკუმენტებს, რაც გაეროს 2006 წლის კონვენციით არის გამყარებული. ჩვენს ქვეყანას არებული აქვს ვალდებულება უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობას

.**აჭარის ტელევიზია 2016 წლის 26 სექტემბრის სიუჟეტიდან** ვგებულობთ, რომ ქალაქის ტერიტორიაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პარკირებისთვის ადგილები გამოიყო და შესაბამისი ნიშნულები მოინიშნა. ეტლით მოსარგებლეთათვის ქალაქში 25 მდე ადგილი გამოიყო.

11 მაისი 2016 აჭარის ტელევიზია, სიუჟეტიდან ვგებულობთ, თუ რა სოციალური პროგრამები ტარდება მრავალშვილიანებისთვის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მთის კანონის ამოქმედების შემდგომ, სახელმწიფოსგან ფინანსურ დახმარებას ახალშობილის მშობლები ღებულობენ. მათ ვისაც მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრებლის სტატუსი აქვს, პირველი და მეორე შვილის დაბადებისას ან, მესამე და მომდევნო შვილებზე კი 200 ლარს 1 წლის განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებენ. სატელევიზიო გადაცემებში სოციალურ საკითხებს ნაკლები დრო ეთმობა და პრობლემატიკის საკმაოდ ვიწრო წრეს მოიცავს. საქართველოში არსებული დემოგრაფიული გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტრატეგიის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს შობადობასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების მაქსიმალურად შემცირებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის #262 დადგენილებით დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება. თუმცა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკისა და საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებასა და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მხარდაჭერის სათანადო პირობების შექმნას და საჭიროებს გაუმჯობესებას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინებით. საქართველოს

მთავრობამ უნდა უზრუნველყოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ახალი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცება, სადაც გათვალისწინებული იქნება ოჯახის/ბავშვის დახმარებასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: ოჯახის/ბავშვის ფინანსურ დახმარების სახელმწიფო პროგრამა გარდაიქმნას კომპლექსურ დახმარების პროგრამად, რომელშიც ასახული იქნება არა მხოლოდ ფინანსური დახმარების საკითხები, არამედ ოჯახის მხარდაჭერის სხვა ზომებიც (საგადასახადო და კომუნალური შეღავათები, ჯანმრთელობის დაზღვევის გაუმჯობესებული პაკეტი, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებით ხარჯების თანადაფინანსება და სხვა); ოჯახის/ბავშვის ფინანსურ დახმარების სახელმწიფო პროგრამა გათვლილი იქნეს დაბალ და საშუალო შემოსავლიან ოჯახებზე და გავრცელდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს ხელს შეუწყობს პროგრამის შეზღუდული ბიუჯეტის ეფექტურ ხარჯვას, ფინანსური დახმარების ოდენობის გაზრდას და ბავშვის საჭიროებებთან მიახლოებას. ამავე დროს, პროგრამის ბიუჯეტის ზრდა შესაძლებელია კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის კულტურის განვითარების, საჯარო-კერძო პარტნიორობის ახალი მექანიზმების დანერგვის და სოციალური პასუხისმგებლობის ფონდის შექმნის გზით, რათა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორც ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა და ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ხელშეწყობაა, თავისი წვლილი (სურვილისშემთხვევაში) შეიტანონ მეწარმეებმაც, ნათქვამია სატელევიზიო სიუჟეტში.

აჭარის ტელევიზია, 2016 წლის 7 ივნისი. სიუჟეტიდან ჩანს, რომ სოფლის განვითარების სტრატეგიებზე - საინფორმაციო შეხვედრა ჩაუტარდათ, სადაც მოსახლეობას აუხსნეს იმ პროექტის შესახებ, რომლის მიზანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და მიგრაციის შეჩერება. პროგრამისათვის 2017-დან 2020 წლამდე 130 მილიონი ევრო იქნება გამოყოფილი. პროექტში ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაცია "ინტელექტი." ჩემი აზრით მსგავსი ღონისძიებების ჩატარება მისასალმებელი კი არა, აუცილებელიცაა, რადგან როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ძლიერი სოფელი ძლიერი ქალაქის საწინდარია.

აჭარის ტელევიზიის 2016 წლის 7 სექტემბრის სიუჟეტში ვგებულობთ ეკომიგრანტების შესახებ, რომელთაც ახალი საცხოვრებელი სახლი გადაეცათ. სახლები მათთვის რეგიონის ჯანდაცვის სამინისტრომ შეიძინა. საცხოვრებელი ფართები თავად ეკომიგრანტებმა შეარჩიეს, უწყებამ კი თითოეულ მათგანში 25 ათასი ლარი გადაიხადა. სტიქიით დაზარალებულებისთვის ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენის პროგრამას აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო წელს პირველად ახორციელებს. პროგრამისთვის რეგიონის ბიუჯეტიდან 3 მილიონი ლარია გამოყოფილი.

სოციალური საკითხები ტელეკომპანია ,,იმედზე“

ტელეკომპანია ,,იმედს“ 02/09/2018 წლის სიუჟეტი აქვს მომზადებული ქუჩაში მომუშავე ბავშვებზე, საიდანაც ვგებულობთ, რომ ისინი ძირითადად ეთნიკურად ქართველები,

ბოშები და ქურთები არიან. ქურთების მიგრაცია აზერბაიჯანიდან ბოლო 10 წლის განმავლობაში სისტემურად ხდება. ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა როგოც ქუჩაში, ასევე ხშირია ოჯახებში. სოციალური მომსახურების სააგენტოს კი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 16 ფსიქოლოგი ჰყავს რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. იმ ნაწილმა ვინც სააგენტოს მიმართა, 870 იყო და აქედან უმრავლესობა ოჯახის წევრებისგან იყო შემდგარი. ამ და სხვა სახის პრობლემების უამრავი მაგალითი გვაქვს ქართულ რეალობაში. სატელევიზიო სიუჟეტში ასევე საუბარია, რომ ,,სამუშაოდ" გასული ბავშვები იმყოფებიან ფსიქოტროპული ზემოქმედების ქვეშ და ასევე ირკვევა ისიც, რომ ისინი ხშირად ისუნთქავენ ე.წ წებოს"... ,,ბავშვები რთული რესპონდენტები არიან", ჟურნალისტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მიაღწიოს რესპონდენტი ბავშვის გულწრფელობას, სხვაგვარად ჟურნალისტი ვერ მიიღებს უტყუარ ინფორმაციას, თავადაც მანიპულაციის ობიექტი შეიქმნება და მსმენელსაც ნებსით თუ უნებლიედ მოატყუებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ბავშვთა ინტერესების გაშუქებას და თუნდაც უგულებელყოფას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე და საერთოდ, საზოგადოების დამოკიდებულებაზე ბავშვების მიმართ. მიუსაფარ ბავშვთა ცხოვრება თავისი წესებითა და პირობებით , ძალიან შორსაა ნორმალური ბავშვების ცხოვრებისგან. ჩვენს ქვეყანაში ეს საკითხი ძალიან რთულადაა, რადგან მძიმე სოციალურმა ფონმა ბევრი სერიოზული პრობლემა წარმოშვა. არიან კი ისინი რეალურად მიუსაფარნი? მათ უმრავლესობას ერთი მშობელი მაინც ყავს და როგორც წესი, სწორედ მშობლები უბიძგებენ შვილებს ქუჩაში მათხოვრობისაკენ, რადგან ეს საკმაოდ სარფიანი ,,ბიზნესია". ასეთი ბავშვების ფსიქიკური თუ ფიზიკური მდგომარება შერყეულია. მათი მენტალიტეტი საკმაოდ განსხვავდება თანატოლების მენტალიტეტისგან. ისინი ვერ თუ არ ღებულობენ ელემენტარულ განათლებას. უმრავლესობას საკუთარი სახელის დაწერაც კი არ შეუძლია. როგორ მოქალაქედ შეიძლება ჩამოყალიბდეს მოზარდი, რომელიც ქუჩაში ცხოვრებას იმდენადაა შეჩვეული, რომ იქ თავს სრულიად კომფორტულად გრძნობს? ცხადია, ძალადობისა და ექსპლოატაციის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად მიუსაფარი და ქუჩის ბავშვები ხდებიან. ამ სფეროში სტატისტიკის

მოყვანა შეუძლებელია, რადგან ასეთი ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტები არ მჟღავნდება. რეალურად ისინი სრულიად უუფლებონი არიან და ერთგვარ მარგინალურ ჯგუფს ქმნიან. მათ ფორმალურად ჰყავთ მშობლები, რაც ამ ბავშვების სახელმწიფოს ან მიმღები ოჯახის მზრუნველობის ქვეშ გადაცემას გამორიცხავს, ხოლო ოჯახი არამარტო არ ზრუნავს ბავშვის უფლებების დაცვაზე, არამედ თვითონ გვევლინება ამ უფლებების ყველაზე უხეშ დამრღვევად. მედიას ძალზე დიდი დახმარება შეუძლია იმ თვალსაზრისით, რომ გაანათლოს საზოგადოება ბავშვისათვის ოჯახური გარემოს მნიშვნელობის შესახებ. ამ პრობლემების მოგვარების საქმეში მნიშვნელოვანია განათლების როლი. ჩვენი აზრით, ოჯახმა და სახელმწიფომ ერთად უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ყველა ბავშვს ქონდეს საშუალება მიიღოს ხარისხიანი განათლება. განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, განსაკუთრებით ბავშვებისათვის- სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. არასრულწლოვანთა საქმეების გაშუქებისას კონფიდენციალურობის დაცვა საერთაშორისო მოთხოვნაა და ხელს უწყობს ბავშვისათვის სტიგმის ანუ დამნაშავის დაღის დასმის თავიდან აცილებას. ამგვარია საერთაშორისო მიდგომა. ქართულ მედიაში კი სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმპცია და მედიაში გაშუქებისას ხშირად დამნაშავეებად იხსენიებენ ეჭვმიტანილ მოზარდებს, რომელთა ბრალეულობაც არ არის დამტკიცებული, მათ სახელ-გვარსაც უმხელენ საზოგადოებას. თუკი საზოგადოებრივი ინტერესი არ მოითხოვს, ბავშვის უფლებები უნდა იყოს დაცული და არ უნდა გამოქვეყნდეს მისი ფოტოები და არ უნდა გამჟღავნდეს ვინაობა. სახელმწიფო ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ოჯახურ გარემოს მოკლებულ მოზარდებს და შეუქმნას მათ შესაფერისი ალტერნატიული გარემო სხვა ოჯახსა თუ დაწესებულებაში, ბავშვების კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით. ბავშვთა საკითხების გაშუქება ჟურნალისტებისაგან სათანადო ცოდნას მოითხოვს. ნებისმიერმა სიტყვამ თუ ფრაზამ შესაძლოა მთლიანად განსაზრვროს ბავშვის შემდგომი ცხოვრება და ამიტომაც ბავშვებზე საუბრისას უდიდესი სიფრთხილე და პროფესიონალიზმია საჭირო. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება ბავშვთა საკითხებისადმი, რომლებიც ძირითადად

სატელევიზიო სიუჟეტებშია დაფიქსირებული, გამოწვეულია იმით, რომ სოციალური პრობლემების კონტექსტში საჭიროდ ჩავთვალეთ მცირე ადგილი მაინც დაგვეთმო აღნიშნული საკითხისადმი, რადგანაც ვთვლით, რომ ბავშვთა საკითხებთან მიმართებაში უპირველესად სოციალური პრობლემატიკაა უმთავრესი, რაც იმას ნიშნავს, რომ სოციალურ პრობლემატიკათა ჩამონათვალში ბვშვთა საკითხებიც ბუნებრივად ფიგურირებს.

2018 წლის 28 აგვისტო. ტვ ,,იმედს“ დათმობილი აქვს დრო ეკომიგრანტებზე. სიუჟეტიდან ვეცნობით ეკომიგრანტების ცხოვრებას. ვისმენთ მათ პრობლემებს . სვანეთიდან და აჭარიდან ჩასული ადამიანები, რომლებიც კახეთში არიან ჩასახლებულნი, ითხოვენ საცხოვრებელი ადგილებისა და ნაკვეთების დაკანონებას. იმედი აქვთ ეკომიგრანტებს, რომ მათ საცხოვრებელი ადგილები დაუკანონდებათ..

გაუსაძლის მდგომარეობაში ცხოვრობენ, საცხოვრებლის საძირკველი დაზიანებულია, ჭერი ჩამონგრეულია, კედლებს ბზარები აქვს გაჩენილი, რომელიც საცხოვრებლად გამოუსადაგარია. ჩემი აზრით, ისეთი რეგიონები, როგორც აჭარა და სვანეთია, დაცარიელებისთვის არ უნდა გავწიროთ. ჩვენმა სახელმწიფომ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ადამიანებს საცხოვრებელი პირობები ჰქონდეთ, .სოფელი განვითარდეს, გაიზარდოს და გაძლიერდეს.

2018 წლის 11 ნოემბერი ტელეკომპანია ,,იმედის“ სატელევიზიო სიუჟეტი ეძღვნება შშმ პირებს, საიდანაც ვღებულობთ, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ მოახერხეს 17 000 ლარის მობილიზება, იმისთვის რომ მეორე ჯგუფის შშმ პირებს დახმარება ანუ პენსია გაეზარდოთ 20 ლარის ოდენობით. საქართველოში შშმ პირთათვის მოქმედებს შეღავათები, ისინი იღებენ სოციალურ დახმარებას, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილ დოკუმენტებს და ასე შემდეგ, მაგრამ გადაუჭრელი პრობლემებიც არსებობს. შშმ პირთა უფლებებისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღეს მსოფლიო საზოგადოებრიობა ყოველწლიურად 5 მაისს აღნიშნავს. თავის ისტორიას ეს თარიღი 1992 წლიდან იწყებს, როდესაც შშმ პირებმა ერთდროულად ევროპის 17 ქვეყანაში თანასწორი უფლებების დაცვისათვის ბრძოლის დღე გამართეს და ფიზიკური, ფსიქიკური ან სენსორული შეზღუდვების მქონე ადამიანების

დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოვიდნენ. 2016 წლიდან შშმ პირები საქართველოში ბრაილის შრიფტით დაბეჭდილ საბუთებს იღებენ. შსს-ს ინიციატივით, მათთვის ადაპტირებულ ავტომობილზე პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება შეუძლიათ. საქართველოში 123,6 ათასზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია რეგისტრირებული. ისინი სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას იღებენ. შშმ პირები, რომლებიც პირველ ჯგუფში შედიან და ასევე ბავშვები, თვეში 160 ლარის ოდენობის სოციალურ დახმარებას იღებენ, მეორე ჯგუფში — 100 ლარს, ხოლო მესამეში — 70 ლარს. სახელმწიფო შშმ პირებს უფასოდ უზრუნველყოფს სპეციალური ეტლებით, პროთეზებით და სხვა ორთოპედიული საშუალებებით, სმენის აპარატებით, კოხლეარული იმპლანტანტებით, ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და ა.შ.

ტელეკომპანია იმედი 2018 წლის 21 მაისი. სატელევიზიო სიუჯეტიდან ვგებულობთ დასაქმებულებსა და დაუსაქმებლემის ციფრულ მაჩვენებელზე, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა შედეგები გამოაქვეყნა. როგორც სიუჟეტიდან ვგებულობთ, საქსტატის მონაცემებით ქვეყანაში უმუშევრობის დონე 0,1 %ით შემცირდა, სამსახურის მქონეთა უმრავლესობა კი თვით დასაქმებულია. 1700000 დასაქმებულიდან 880 ათასი მათზე მოდის, საჯარო სექტორში კი 280 ათასი ადამიანია დასაქმებული. მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს 2016 წელთან უმუშევრობის დონე შედარებით შემცირდა, თუმცა სხვა რეგიონებში, პირიქით გაიზარდა. თბილისში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში და იმერეთში. დასაქმება, სამსახური ეს ერთ-ერთი მოთხოვნაა ადამიანის, რომელიც სრულყოფილად ცხოვრობს. შემოსავლის წყაროს არსებობა აუცილებელია, ზოგჯერ იძულებითაც კი ხდება მუშაობა იმ დაწესებულებაში, სადაც დასაქმებულ პირს სურვილი არ აქვს იმუშაოს, სამსახურში რთული პირობებიდან გამომდინარე. ჩვენი ქვეყანა დგას ამ პრობლემის წინაშე, უნდა გატარდეს სწორი პოლიტიკური სვლები და ნაბიჯები რათა ქვეყანამ სიღარიბეს თავი დააღწიოს. დაუსაქმებლების რაოდენობა უფრო მეტია საქართველოში ვიდრე დასაქმებულების. ამის გარდა მამაკაცებთან შედარებით ქალები უფრო აქტიურები არიან სამსახურთან დაკავშირებით. წინა წელთან შედარებით ქალების დასაქმების დონე 2 % ით გაიზარდა, ხოლო მამაკაცებში 1,1 % ით. . დასაქმება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია

ადამიანისთვის,, თუ გვინდა რომ გვქნდეს ძლიერი ქვეყანა, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გეგმა და პროგრამა დასაქმებისა, სადაც ეს პრობლემა საბოლოოდ გადაწყდება.

სოციალური პრობლემატიკა რეგიონის მაგალითზე ე.წ ოცნების ქალაქიდან

2012 წელს, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ბათუმთან ახლოს, ხელვაჩაურში, ყოფილი სამხედრო ბატალიონის ტერიტორიაზე, აჭარის მაღალმთიანეთიდან ათეულობით ოჯახი ჩამოვიდა საცხოვრებლად. ყოფილი 25-ე და 53-ე რუსული სამხედრო ბატალიონების ბაზებზე უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებმა ხის და მუყაოს ფიცრულები ააგეს და დასახლდნენ. ბევრი მათგანი მრავალშვილიანი ოჯახიდანაა და საკუთარი სახლი, ხელვაჩაურში გადმოსახლებამდე, არ ჰქონდათ. საზოგადოება დასახლებას „ოცნების ქალაქის“ სახელით იცნობს. ბოლო ხუთ წელიწადში ეს ადგილი მნიშვნელოვნად შეიცვალა. მუყაოს და ხის ფიცრულები, ბეტონის ნაგებობებმა ჩაანაცვლა. თუმცა არ შეცვლილა საერთო სოციალური ფონი – გაჭირვება და გარემო, რომელშიც ამ ადამიანებს უწევთ ცხოვრება.დასახლებას არ აქვს სკოლა, არც სამედიცინო პუნქტი, ერთადერთი სასწავლო ფუნქციის მქონე შენობა საგანმანათლებლო ცენტრია, სადაც „ოცნების ქალაქში“ მცხოვრები ბავშვები ინგლისურს ისწავლიან. შენობა, რომელშიც ცენტრი უნდა გაიხსნას, მრავალფუნქციურია. მასში იქნება საერთო საპირფარეშო, სააბაზანო და სამრეცხაო იმ ოჯახებისთვის, ვისაც საკუთარი სველი წერტილი არ გააჩნია და სარეცხი მანქანა არ აქვს.ოჯახები, ვისაც საკუთარი სააბაზანო და საპირფარეშო არ აქვს ოცნების ქალაქში მრავლადაა. „ოცნების ქალაქში“ მცხოვრები ბავშვები განათლებას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სკოლებში იღებენ.იმის გამო, რომ ზოგ ოჯახს ბავშვების აღზრდისთვის შესაბამისი პირობები არ აქვს, შვილები პანსიონში ჰყავთ.მათი თქმით იქ შვილებს ყველაფერი აქვთ, რაც სრულფასოვანი განათლების მისაღებად სჭირდებათ.„ოცნების ქალაქში“ არ შეცვლილა ურბანული გარემო. როცა წვიმს, დასახლება იტბორება, წვიმის შემდეგ კი გუბეები რამდენიმე დღე რჩება, რაც მოსახლეობისთვი უკვე აუტანელი ხდება.ზაფხულობით მწერები, გველები, მღრნელები და არასასიამოვნო სუნი, მთელი „ოცნების ქალაქის“ დაუძლეველი პრობლემაა.

ბავშვებისათვის არ არის სათამაშო და გასართობი ადგილები ამიტომაც, თამაში მტვერსა და ოღრო-ჩოღრო ქუჩებში უწევთ. „ოცნების ქალაქში“ ბავშვებისთვის არაფერია. აჭარიდან მოსახლეობის ჩამოსახლება არაა გასაკვირი,ამის მიზეზი რამოდენიმეა:- პირველი ის რომ აჭარის რეგიონი სტიქიური კატასტროფების მქონე რეგიონია სადაც,ხშირად ხდება ბუნებრივი კატასტროფები,რასაც ზოგ ადგილიდან მოსახლეობის ევაკუაცია ხდება საჭირო, ზოგან კი აღდგენითი სამუშაოები.. ასევე ასაღნიშნია, ისიც რომ აჭარა მცირე მიწიანობით გამოირჩევა, ამიტომ ესეც შეიძლება ჩაითვალოს მიზეზად, რომ ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე გადასახლდეს მოსახლეობა დაუფიქრებლად. ასევე აღსანიშნია ისიც, რომ აჭარის რეგიონი შობადობის ზრდით, მზარდი მოსახლეობით გამოირჩევა. ამიტომაც წინ გაყოფადობოის პრობლემა გვესახება. ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობის საკითხთან მიმართებაში ხელმიუწვდომელ ადგილას რჩება, ისახება სოციალური საკითხების პრობლემები და ა.შ შეგვიძლია დავასახელოთ უამრავი მიზეზი იმისა თუ რატომ გადმოსახლდა მოსახლეობა მაღალმთიან რაიონებიდან და არამხოლოდ მაღალმთიანიდან ბათუმში ე.წ მუყაოს ოცნების ქალაქში.მე დავინტერესდი ,,ოცნების ქალაქით“ მისი მდგომარეობით, მოსახლეობის რაოდენობით,მათი პრობლემებით,იმ მიზეზებით თუ რატომ გახდა საჭირო მასახლეობისთვის დაეტოვებინათ მათი საცხოვრებელი ადგილები და გადასულიყვნენ სხვაგან, ზოგან მართლაც ჯანმრთელობის პრობლემა იჩენდა თავს, მაგალითად ოჯახს რომელსაც ყავდა შშმ არასრულწლოვანი პირი კვირაში ერთხელ კონსულტაცია იყო საჭირო, ამის გამო, ისინი სადაც ცხოვრობდნენ ხულოს რაიონის ერთ-ერთ სოფეში შეუძლებელი იყო ხულოდან ყოველ კვირას ქალაქში ეტარებინათ 12 წლის ბავშვი ეს ჯანმრთელობასთანაც იყო დაკავშირევბული და ხარჯებთანაც რა თქმა უნდა. ამიტომაც ოჯახი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრისი.

აქვე შევხვდებითი ოჯახებს, რომელთაც სახლი აქვთ, თუმცა მრავალწევრიანობის გამო ერთად ყოფნა გაუსაძლისი იყო. არიან ოჯახები სადაც სამი-ოთხი დედმამიშვილი ერთად ცხოვრობს დაოჯახებული ამიტომაც იძულებული გახდნენ

გადასახლებულიყვნენ.. ასევე ვხვდებით ოჯახებს, რომელთაც უბედური შემთხვევის გამო დარჩნენ სახლის გარეშე,იგულისხმება (ცეცხლი).

თუმცა ასაღნიშნია ისიც, რომ არიან ოჯახები, რომელიც გამორჩენის მიზნით შესახლდნენ ამა თუ იმ ობიექტში. დღევანდელი სიტუაცია და დღევანდელი პრობლემები იქ მცხოვრებ მოსახლეობას რთულად აწევს და აწუხებს, მოსახლეობას მოუწესრიგებელი აქვს არხები, მოუწესრიგებელი აქვთ მიმავალი გზები.რა პრობლემებია "ოცნების ქალაქში"... აქ უკვე იშვიათად ოცნებობენ პრობლემების მოგვარებაზე, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ გადაიტანონ ყოველი ახალი დღე. პრობლემებს რა გამოლევს ერთ-ერთი მათ შორის სანდასუფთავებაა მათგან ძალიან შორს დგას ნაგვის ურნები. ელექტრო ენერგია აქვთ შეყვანილი აქ15 ოჯახი ერთ მრიცხველზეა დაკავშირებული,რომელსაც თვის რომელიმე რიცხვში მოსულ დავალიანებას იყოფენ და თანაბრად იხდიან., დღეს აჭარის მთავრობა დაპირდა კორპუსებს, რომელშიც მოსახლეობა შესახლდება და იცხოვრებს. ასევე მიმდინარეობს აღიცხვა და გამოკვლევა მოსახლეობისა რათა მოსახლეობას დამსახურებულად გადაეცეს საცხოვრებელი ადგილი, იკვლევენ იჯახებს რომელსაც მართლა არ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი და მოსახლეობას რომელსაც აქვს ერთი საცხოვრებელი , თუმცა გამორჩენის მიზნით დასახლდა და ელოდება მეორე საცხოვრისს. ვფიქრობ, მოსახლეობამ უნდა გამოიცინოს გულისხმიერება და უნდა დაუთმოს ადგილი მათ ვინც,ნამდვილად იმსახურებს, და ვისაც მართლა არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი.

მე დავინტერესდი ე.წ ოცნების ქალაქის მაცხოვრებლებით და მათთან გასაუბრება გადავწყვიტე. ერთ-ერთი იქ მაცხოვრებლის ყოველდღიური ცხოვრება და პრობლემები მინდა თქვენც დაგიხატოთ. ერთ-ერთ მაცხოვრებელი ემინე გუნდაძე უკვე 9 წელია აქ ცხოვობს,ის თუ რა გახდა მათი აქ ჩამოსახლების მიზეზი ეს უსახლკარობა იყო. მრავალშვილიანია, ასევე მარტოხელაა, ყავს 4 შვილი და მთელი 30 წელი ცხოვრობდა ქმრის ძმის სახლში.სოფელში არც ადგილი,ტერიტორია ქონდა რომ საკუთარი სახლი ჩაედგა და არც ამის სახსრები.ამიტომაც იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი.ის ამბობს რომ სოფელში ცხოვრებისას

მრავალშვილიანობის სოციალურ დახმარებას ღებულობდა თუმცა აქ ჩამოსვლის შემდეგ სოციალური პაკეტი მოუხსნეს,როგორც თვითონ ამბობს მიზეზი არ იცისთუ რატომ მოხდა შეწყვეტა დახმარების.,,ოცნების ქალაქში“ სხვადასხვა კუთხიდან არიან ჩამოსული :- ხულოდან, შუახევიდან,ქობულეთიდან,ლანჩხუთიდან სვანეთიდან და ა,შ. უმეტესობა კი ხულოსა და შუახევის რეგიონიდან არიან.ელექტროენერგია თავისი სახსრებით გააკეთეს. კითხვაზე თუ როგორ მოეწოდებოდათ ელექტრო ენერგია და სასმელი წყალი მივიღე ასეთი პასუხი.

ე.წ. ,,ოცნების ქალაქში“მცხოვრებ მოსახლეობას არ დათმობია არანაირი ყურადგება სახელმწიფოს მხრიდან და არც იყო დანიშნული პირი,რომელიც ამ საკითხში კომპეტენტური იქნებოდა.,რესპონდენტის საუბრიდან ჩანს რომ, თავისი სახსრებით მოხერხდა ელექტროენერგიის შეყვანა ტერიტორიაზე, მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით შეძლო შეექმნათ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები,შეკრიბეს თანხა.გადაუხადეს ელექტრიკოს, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაში დაეხმარებოდა და მოიყვანეს ელექტროენერგია.რა თქმა უნდა ისე მოხდა რომ ერთ მრიცხველზე 5-6 ოჯახი არის დაკავშირებული.ადამიანს,როგორც ცოცხალ ორგანიზმს არ შეუძლია წყლის გარეშე, ,,ოცნების ქალაქში“ წყლის საკითხის პრობლემა დადგა. მოსახლეობამ აქაც საკუთარი სახსრებით შეძლო წყლის პრობლემის მოგვარება.რა თქმა უნდა სრულად გადაწყვეტილი არ არის წყლის პრობლემა, თუმცა არც წყლის გარეშეა დარჩენილი მოსახლეობა. მათ ე.წ ჭა გააკეთეს,რომლითაც მატორის საშუალებით ხდება წყლის ამოქაჩვა. ასევე აქ დგას საკანალიზაციო სისტემის პრობლემა სადაც მოსახლეობამ აქაც საკუთარი ხარჯებითა და სახსრებით შეეცადა მოეგვარებინა თუმცა სრულყოფუილად არაა მოგვარებული, რადგან უსიამოვნო სუნის გამო, განსაკუთრებით ზაფხულში შეუძლებელია გაჩერება და ცხოვრება. თუმცა მოსახლეობა იძულებული რჩება აიტანოს მსგავს პირობებში ცხოვრება.არსებობს ე.წ ორმოები, რომელიც საკანალიზაციო სისტემის მაგივრობას წევს მათი გაწმენა კი 4 წელიწადში ერთხელ ხდება.

ასევე ვაწყდებით სახლების დატბორვის პრობლემას, წვიმის დროს ზოგიერთი იქ მაცხოვრებლის სახლი იტბორება,რის გამოც იქ გაჩერება შეუძლებელია და

იძულებული ხდება ღამე მეზობელთან გაათიოს. უმეტესად სოფლებიდან ის ხალხია წამოსული,რომელიც არ იყო დასაქმებული და თავს სეზონური სამუშაოებით ირჩენს(თურქეთში გადასვლით). ადამიანები,რომელთაც არა აქვთ შემოსავალი არჩევენ ქალაქში ცხოვრებას ვიდრე სოფლად. "ვისაც შეუძლია სამუშაოდ დადის, ზოგი თურქეთში, ზოგი ბათუმში და მძიმე სამუშაო დღის ბოლოს კი ბრუნდებიან ამ ქოხებში"- გვითხრეს "ოცნების ქალაქში. როგორც,ზემოთ ავღნიშნე ე.წ. "ოცნების ქალაქში" სხვადასხვა სოციალური პრობლემების მქონე ადამიანები ცხოვრობენ: მარჩენალ დაკარგულები, მარტოხელები, მრავალშვილიანები, მეწყრულ ზონიდან ჩამოსულები. მაღალმთიანი აჭარა თითქმის მთლიანად მეწყრული ზონაა და უმეტესი აქ მცხოვრები იქედან არის ჩამოსული. აქ ელემენტარული პირობებიც არ არის ადამიანისთვის. ნაგავსაყრელზე ვცხოვრობთ, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც სხვაგან წასასვლელი არ გვაქვს. წყალი მოდის, მაგრამ გრაფიკით. აქ უამრავი ბავშვია, ხომ შეიძლება რამე ინფექციური დაავადება გავრცელდეს. ბავშვები არაჯანსაღ პირობებში იზრდებიან ეს ბავშვები ძალიან დიდი რესურსია ქვეყნისთვის. აქედან გამომდინარე, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება მათ. ყველა ორგანიზაციას, იქნება სამთავრობო თუ არასამთავრობო, გთხოვთ, იქნებ დაგვეხმაროთ, რომ მომავალი თაობა ასეთ პირობებში არ იზრდებოდეს.""ძალიან მძიმე პირობებში გვიწევს ცხოვრება. ხომ შეიძლება უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინონ ჩვენს მიმართ და ელემენტარული საცხოვრებელი პირობები შეგვიქმნან. თქვენ ალბათ ნახავდით, ამხელა ტერიტორიაზე ერთი სანაგვე ურნაც არ არის. ეს პრობლემა ხომ შეიძლება მოგვარდეს?! ამაზე ხომ არ არის მილიონობით ლარი დასახარჯი თქვა ჩვენმა რესპონდენტმა.

მცხოვრებლების ერთი ნაწილი მოითხოვს ეკომიგრანტების სტატუსის მინიჭებას და როგორ აპირებს ადგილობრივი მთავრობა ამ საკითხის გადაჭრას, რამაზ ჯინჭარაძემ ასე გვიპასუხა:

"ეკომიგრანტის სამართლებრივი სტატუსი არ არსებობს, მით უფრო ოფიციალური ორგანო რომელიც იურიდიულად ანიჭებს აღნიშნულ სტატუსს. თუმცა არსებობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს N779 დადგენილება, რომელიც განმარტავს ეკომიგრანტის ცნებას.ეკომიგრანტის ცნებაში განმარტებული კრიტერიუმების ოჯახზე გავრცელების მიზნით, შესაბამის უწყებებში წარდგენილი უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს/სპეციალისტების დასკვნა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მსჯელობა დახმარების გაწევის მიზანშეწონილობაზე. თუ მოქალაქე თვლის, რომ ის არის სტიქიის შედეგად დაზარალებული, უპირველესად უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტს საცხოვრებელი სახლის ადგილმდებარეობის მიხედვით.

თუკი შესაბამისი დასკვნით დადასტურებული იქნება, რომ სტიქიური საფრთხის გამო ოჯახი ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას აჭარის მთავრობაში შექმნილი უფლებამოსილი კომისიის რეკომენდაციით მთავრობის თავმჯდომარე ღებულობს გადაწყვეტილებას ეკომიგრანტი ოჯახების სოციალურ სახლებში საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ ოჯახს გააჩნია გეოლოგიურად მდგრადი ალტერნატიული ფართი, იგივე პროცედურების გავლით ოჯახს გაეწევა ფინანსური დახმარება სახლის გადატანა/მშენებლობისათვის. "ე.წ "ოცნების ქალაქში" სამი ეკომიგრანტი ოჯახის ცხოვრება დადასტურდა. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის მკვიდრი იყო, აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით ბინა ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში არსებულ სოციალურ სახლში გადაეცა. მეორე ოჯახს, რომელიც ხულოს მუნიციპალიტეტის მკვიდრი იყო, სახლი გურიაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ შეუძინა, ხოლო მესამემ, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტის მკვიდრია, ქედის პოლიკლინიკის რეაბილიტირებულ შენობაში ბინის მიღებაზე უარი განაცხადა და ცხოვრებას ე.წ "ოცნების ქალაქში" აგრძელებს.

დასკვნა

სოციალური თემატიკა, მეტად ფართო და ყოვლისმომცველი პრობლემათაგანია, რომელიც ადამიანის ცხოვრებასთან პირდაპირ კავშირშია. სამწუხაროდ, 21-ე საუკუნის დამდეგმა ღია ჭრილობასავით წარმოაჩინა სოციალური პრობლემების მთელი წყება და საზოგადოების ერთ-ერთ ,,აქილევსის ქუსლად“ აქცია. დღეს, საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს სოციალური საკითხების მოუგვარებლობა უფრო აწუხებს და მის გამო, არ აქვს მშვიდი ძილი და მოსვენება. ეს პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ,- ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს ჩვენს გვერდით, ჩვენ ქუჩაზე, ჩვენ სოფელში, ხშირად ერთად გადავაადგილდებით სამარშუტო ტაქსებით, ხანდახან ვსეირნობთ კიდეც ერთად ქუჩაში და აბსოლუტურად ყველას განწყობაზე აისახება და

წაიკითხება თუ როგორ უჭირს, როგორ განიცდის და როგორ სტკივა ის მძიმე რეალობა, რომელსაც უფულობა, უპურობა, უშუქობა... ჰქვია. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთმა მძიმე და ერთგვარად გაუსაძლისმა პირობებმა ადამიანებს დააკარგვინა თანაგრძნობის, პატივისცემის, დაფასების, სიყვარულის გრძნობა თუ უნარი. რატომღაც, საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი, ჩემთვის ერთგვარად შეუცნობელიც კი გახდა. მთავარი საზომი, სამწუხაროდ არის კვლავაც ფული და კაპიტალი, რამაც კიდევ უფრო მეტად გაართულა ადამიანური ურთიერთობები. დააშორა საზოგადოება ერთმანეთს და რაღაცნაირად, კარჩაკეტილ რეალობაში ამყოფებს. არადა, ამ დროს ადამიანი ისევ ადამიანად რჩება, იმ ფასეულობათა და ღირებულებათა ერთგულია, როგორადაც საუკუნეების წინათ იყო.

ვცდილობდი და ვცდილობ, მოვუძებნო ახსნა ასეთ რეალობას. დავინახო ის, თუ რა განაპიროვბებს ყოველივე ამას და რატომ იცვლებიან ადამიანები ასე მარტივად. ეს ყველაფერი, მინდოდა მენახა და გამეანალიზებინა იმ ყოფითი პრობლემატიკიდან და რეალობიდან გამომდინარე, რასაც თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ჰქვია. მე როგორც, პროფესიით ჟურნალისტი, ვცდილობ უპირველესად ამ ყველაფერს ჩავწვდე თანამედროვე მედიასაშუალებების მაგალითზე, რადგანაც მჯერა, რომ სწორედ მედიაა ის ასპარეზი, რომელიც ამ მხრიდან გვანახებს კონკრეტულ ადამიანს და მთლიანად საზოგადოებას, განურჩევლკად ასაკისა, სქესისა თუ ინტერესებისა. ჩემ მიერ, გაანალიზებული ბეჭდური თუ სამაუწყებლო მედიაში გამოქვეყნებული მასალებიდან, ასევე ე.წ ,,ოცნების ქალაქზე'' გაკეთებული ანალიზიდან ცხადი ხდება, რომ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისათვის კვლავაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სოციალური სიდუხჭირე და უმუშევრობა. თუმცა, აქვე ნათელი ხდება, რომ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ცდილობს ამ ვითარებიდან გამოსვლას, გაუმჯობესებას, იმ სოციალური პირობებისას, რომელშიც უწევს ცხოვრება. ეს ყველაფერი კი, მათი ცნობიერების ამაღლებასა და ზოგადი განათლების ზრდაზე მიუთითებს. ასევე შევნიშნეთ, რომ საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილში იზრდება პასუხისმგებლობა და უკვე მზარდია ტენდენცია სამოქალაქო პასუხისმგებლობის როლის ამაღლების კუთხით. ადამიანები ცდილობენ ჩაწვდნენ,

შეისწავლონ, ანალიზი გაუკეთონ და გამოასწორონ არსებული მდგომარეობა და ცხოვრება მოიწყონ ისე, რომ ნაკლებად მტკივნეული იყოს მათთვის არსებული რეალობა. ამაში, მათ ასევე კარგად ესმით, რომ ძალიან დიდია, სახელმწიფოს მხრიდან დროული რეაგირება და დახმარება, რაც გამოიხატება უმუშევართა რიცხვის შემცირებაში, სოციალური პაკეტების ზრდაში, ხარისხიან საპენსიო უზრუნველყოფობაში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებასა და დროულ გადაწყვეტაში, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოების კონკრეტული წევრისთვის. ვიმედოვნებ, ჩემი საკვლევი თემა კვლავაც გამომადგება სამომავლოდ აღნიშნული საკითხების უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ანალიზისათვის ჩემ შემდგომ ჟურნალისტურ მოღვაწეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. სანიკიძე ი. ჟურნალისტიკის თეორიის ფორმობრივი და შინაარსობრივი საფუძვლები, თბილისი, 2015
2. დეფლორი მ. დენისი ე. მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, თბილისი, 2009
3. მენჩერი მ.ახალი ამბების გაშუქება და წერა, თბილისი, 2013.
4. მედიაეთიკა და პროფესიული სტანდარტები, თბილისი, 2013

1. გაზეთი ,,აჭარა“, 2018 წელი, 8 აპრილი.
2. 2019 წლის 18 აპრილი, გაზეთი ,,აჭარა“.
3. 2018 წლის 10 აგვსტო, გაზეთი ,,აჭარა“,
4. გაზეთი ,,აჭარა“, 2019 წელი.
5. 2019 წლის 25 აპრილი, გაზეთი ,,აჭარა“.
6. გაზეთ ,,კვირის პალიტრა”, 24.04.2019
7. 2017 წლის 20 ნოემბერი, გაზეთ ,,კვირის პალიტრა”,
8. 2015, 29 ივნისი, რუსუდან შელია გაზეთ ,,კვირის პალიტრა“,
9. გაზეთ ,,კვირის პალიტრა“2017, 11 სექტემბერი.
10. გაზეთი ,,კვირის პალიტრა“, 2018 წლის 22 ნოემბერი.
11. აჭარის ტელევიზია, 05 აპრილი, 2016
12. 2016 წლის19 აპრილი, აჭარის ტელევიზია.
13. პრილი, 2016, აჭარის ტელევიზია
14. აპრილი 2016, , აჭარის ტელევიზია,
15. 14 მაისი 2016, აჭარის ტელევიზია.
16. 17 მაისი, 2016, აჭარის ტელევიზია.

17. 25 აგვისტო 2016 აჭარის ტელევიზია.

18. აჭარის ტელევიზია, 2016 წლის 7 ივნისი.

19. 2018 წლის 28 აგვისტო. ტვ ,,იმედი“

20. 2018 წლის 11 ნოემბერი ტელეკომპანია ,,იმედი“

21. ტელეკომპანია ,,იმედი“ 2018 წლის 21 მაისი.